2009 წელი, 2 - 8 აპრილი

ფასი 90 თეთრი

ახალი დროება

№12 (446) გამოდის 1998 წლიდან

ირაკლი ფარჯიანი, „ხარება“

ცდები სახალხო ქიმიიდან

ბუნების გაკვეთილი

გვერდი 8-11

რას ფიქრობენ მეთორმეტეკლასელები

სახელმძღვანელოების, ეროვნული გამოცდების, რეპეტიტორობის და თორმეტწლიანი სწავლების შესახებ

გვერდი 9

რეკომენდებული სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესი

გვერდი 5-7

მაბისეული სარწმუნოების აღქმა ზიციან ზაბიძის სიმბოლისტურ ლექსებში

გვერდი 3-4

C M Y K

კონკურსი „ვკითხულობთ რუსთაველს“

თბილისის № 24 საჯარო სკოლა და შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის რუსთველოლოგიის კვლევის ცენტრი საქართველოს საჯარო სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებს გთავაზობთ ტრადიციულ კონკურსში მონაწილეობას

პროექტი „ვკითხულობთ რუსთაველს“ უკვე მეექვსედ ხორციელდება და ამჯერადაც მოწოდებულია ქართველთათვის უპირველესი წიგნის უკეთ გასაცნობად. პროექტის მიზანია ამ პოემისადმი XXI საუკუნის მოსწავლე ახალგაზრდობის გააზრებული დამოკიდებულების ჩამოყალიბება, მარადიული სულიერი კავშირის შეცნობა. პროექტში მონაწილეობის მიღება შუძლიათ აგრეთვე ქვეყნის ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებას – უმაღლესი სკოლის სტუდენტებსა თუ ლექტორებს, კოლეჯისა და ლიცეუმის მოსწავლეებს.

კონკურსანტებს საშუალება ეძლევათ, 5-8 წუთის რეგლამენტში, სასურველ ენაზე წარმოადგინონ შერჩეული ეპიზოდები, ინსცენირება თუ ამ პოემისადმი შექმნილი დამოკიდებულება ესსეს, ჩანახატის, პოეტური ნამუშევრის სახით.

მონაწილეთა შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მხატვრული კითხვის ხელოვნებას, პოემის მოქმედ, ცოცხალ სიტყვაში გარდასახვას, მართლმეტყველებას – ბგერათა სწორად და გარკვევით გამოთქმას, არაქართველთა მიერ ქართული ენის ფლობის ტექნიკას, სამსახიობო უნარ-ჩვევებს.

პროექტის ორგანიზატორები (თბილისის №24 საჯარო სკოლა, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მუზეუმი და საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი) თხოვნით მიმართავენ ქალაქის, რაიონის რესურსცენტრებს, ადგილზე უზრუნველყონ კონკურსში მონაწილეთა შერჩევა.

პროექტში მონაწილეობის მსურველებმა, არაუგვიანეს 2009 წლის 31 მაისისა, უნდა წარმოადგინონ განაცხადი შემდეგი ინფორმაციით:

სკოლის დასახელება, იურიდიული მისამართი;

პროექტში ჩართულ მასწავლებელთა, მოსწავლეთა სია საკონტაქტო ნომრის მითითებით: (შერჩეული ეპიზოდის დასახელება, ორიგინალს ვკითხულობთ თუ თარგმანს) რეგისტრაციის შემდეგ, მონაწილეობის მსურველთ მიეცემათ ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ რა საშუალებებით გადაჭრან კონკრეტული ამოცანა.

კონკურსის დასკვნითი ტური ჩატარდება 2009 წლის 14 ივნისს.

განაცხადი წარმოადგინეთ მისამართზე:
თბილისი, №24 საჯარო სკოლა, ბაქოს ქუჩა №1
საკონტაქტო პირი – პროექტის ხელმძღვანელი თამარ ბარისაშვილი
ტელ. 877 24 77 67, E-mail: barisashvili@mail. ru

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა შეხვედრა აფხაზეთის ომში დაღუპული სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა ოჯახის წევრებთან. ომის დროს 19 უნივერსიტეტელი დაიღუპა. სტუდენტებმა და აკადემიურმა პერსონალმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს ქართველი გმირები და პატივი მიაგეს მათ ხსოვნას.

1993 წლის 15-16 მარტი, ტრადიციულად, ფართოდ აღინიშნება ქართული საზოგადოების მიერ. ამ დღეებში ქართველმა მეომრებმა, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, წარმატებით მოიგერიეს სეპარატისტების, დაქირავებულებისა და რუსული არმიის სადესანტო-საშტურმო შენაერთების ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური შეტევა სოხუმზე. შეტევა წარიმართა დიდი ცოცხალი ძალის, არტილერიის, სამხედრო ავიაციისა და სამხედრო-საზღვაო ძალების სრული მხარდაჭერით. ქართული არმიისა და ქალაქის მოსახლეობის ერთობლივი ძალისხმევით მოწინააღმდეგე გაანადგურეს.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ომში დაღუპული გმირების მშობლებთან და ოჯახის წევრებთან შეხვედრა უკვე მეორედ გაიმართა. ამ ტრადიციას საფუძველი გასულ წელს ჩაეყარა და მომავალშიც გაგრძელდება.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ დაღუპული მეომრების ახლობლებს სამახსოვროდ სინას მთის იესოს ორსახოვანი ხატი და საეკლესიო ნივთები გადასცა.

* * *

26 მარტს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აფხაზეთისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. საღამო უნივერსიტეტის თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა.

ღონისძიებას სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ესწრებოდა. საღამოს მონაწილეებსა და მოწვეულ საზოგადოებას სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **ჯონი აფაქიძე** მიესალმა და აღნიშნა, რომ სტუდენტურ თვითშემოქმედებას უნივერსიტეტის კულტურულ ცხოვრებაში დიდი როლი ენიჭება. წარმატებები უსურვა სტუდენტებს და მომავალშიც მსგავსი ღონისძიებების გამართვაში მხარდაჭერა აღუთქვა.

სტუდენტებმა ქართველი მწერლებისა და პოეტების შემოქმედება წარმოადგინეს. ღონისძიებაში მონაწილეობდა უნივერსიტეტის ფოლკლორული ანსამბლი **ვეზდენ ოკუჯავას** ხელმძღვანელობით. სტუდენტებმა მოწვეულ სტუმრებს თეატრალიზებული წარმოდგენა უჩვენეს.

მსგავსი ღონისძიება, თვითმმართველობის თაოსნობით, უნივერსიტეტში პირველად ჩატარდა. თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტი საღამოების გამართვას მომავალშიც გეგმავს.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

თეატრის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ დრამატულ თეატრში ეტიუდების სტუდენტური ფესტივალი ჩატარდა.

წარმოდგენილი იყო მხოლოდ ეტიუდები, რომელთა ხანგრძლივობა 7 წუთს არ აღემატებოდა.

საუკეთესო ნამუშევრები შეფასდა ჟიურის მიერ და დაჯილდოვდა შემდეგ ნომინაციებში: I, II და III ადგილი, საუკეთესო მსახიობი ბიჭი, საუკეთესო მსახიობი გოგო, საუკეთესო სიუჟეტი, ჟიურის სპეციალური პრიზი და მაყურებელთა სიმპათია.

ჟიურის წევრები იყვნენ: **გიორგი მარგველაშვილი, გიზო ჟორდანია, გიორგი შალუტაშვილი, ვასილ კიკნაძე, კოტე ფურცელაძე** და **ნინო ლიპარტელიანი**.

ფესტივალი 28 მარტს საზეიმოდ დაიხურა.

ეტიუდების სტუდენტური ფესტივალი თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კიდევ ერთი სიახლეა – ტრადიცია, რომელიც ყოველწლიურად წაახალისებს მომავალ თეატრალებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

გამოცდების ეროვნული ცენტრი

ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში მონაწილეობის სურვილი უპრეცედენტო რაოდენობის მოსწავლემ გამოთქვა

ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში დარეგისტრირებულ მონაწილეთა რაოდენობამ 130 ათასს გადააჭარბა. ცნობილია, რომ ყველაზე მეტი ოლიმპიელი ქართული ენისა და ლიტერატურის და მათემატიკის მიმართულებით ეჯიბრება ერთმანეთს.

ოლიმპიელები საქართველოს ყველა რაიონის ყველა სკოლიდან დარეგისტრირდნენ. ოლიმპიადაში საქართველოს სკოლების 95% მონაწილეობს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, სასწავლო ოლიმპიადები ყოველწლიურად ჩატარდება შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ინფორმატიკა. ოლიმპიადა მთელი ქვეყნის მასშტაბით, 150-მდე ცენტრში მიმდინარეობს.

ოლიმპიადის მიზანია: ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენა; სასკოლო რეფორმის ხელშეწყობა; სასკოლო ცხოვრების სტიმულირება; მოსწავლეების, პედაგოგების, სასწავლო პროცესის წახალისება; საქართველოს ნაკრების კანდიდატთა გამოვლენა საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის.

სასწავლო ოლიმპიადებში მონაწილე მოსწავლეთაგან 10 გამარჯვებული ეროვნული ნაკრების წევრი გახდება და მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადაში მიიღებს მონაწილეობას. ასევე გამოვლინდება 10 საუკეთესო სკოლა და ფულადი პრიზებით დაჯილდოვდება.

ოლიმპიადა ტარდება ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. დარეგისტრირდა 6 708 არაქართულენოვანი მოსწავლე. ქართულის, ფიზიკის, მათემატიკისა და ისტორიის მიმართულებით მონაწილეობს 10 უსინათლო მოსწავლე.

ოლიმპიადაში, ასევე, მონაწილეობს გალის რაიონში მცხოვრები 157 მოსწავლე რაიონის 12 სკოლიდან.

წელს ოლიმპიადებიტარდება 2 ტურად (შესარჩევი და დასკვნითი ტურები); მომავალი წლიდან – 3 ტურად (შესარჩევი, რეგიონული და დასკვნითი ტურები); უპრეცედენტო მასშტაბის ოლიმპიადის პირველი, შესარჩევი ტური თბილისსა და ყველა რაიონულ ცენტრში 28-29 მარტს ჩატარდა, დასკვნითი ტური 2-3 მაისს ჩატარდება.

სასწავლო ოლიმპიადას გამოცდების ეროვნული ცენტრი ატარებს.

საუბრები ლიტერატურაზე

მამისეული სარწმუნოების აღქმა ტიციან ტაბიძის სიმბოლისტურ ლექსებში

ასე ადიდა წინაპარმა
ასტარტა მწველი
ღვთისმშობლის ქება, ეხლა მამის
ასველებს წვერებს
არ დალეულა ჩვენ მოდგმაში
ჯერე მლოცველი
გადახდილ წირვის დათვლა თვითონ
ღმერთს დააბერებს.

რას შეიძლება ნიშნავდეს პოეტისთვის განცდა იმისა, რომ მის მოდგმაში საუკუნეების მანძილზე მლოცველი არ დალეულა? ან რას შეიძლება ნიშნავდეს ეს განცდა იმ პოეტისათვის, რომელიც გრძნობს, რომ მლოცველი ილევა თავად მასში, მის სულში, მის არსებაში?

გამოილოცა უკვე მამამ, – შაბათი არი
და თეთრ წვერებზე თითქო მოჩანს ლოცვა დამდნარი.
დაბნელდა, თვალი გარეშემო ვერაფერს ხედავს,
კუდიანივით ქარიშხალი მიდამოს სწენავს.
ქარვის ტალახში ეფლობიან მძიმედ ფეხები,
ყვითელ ფოთლებში მე ვიხრჩვები და ვიმარხები.

ან კი რატომ შეიძლება გრძნობდეს პოეტი იმას, თუ როგორ იმარხება თავად ყვითელ ფოთლებში, თუკი, ამავე დროს, ხედავს, როგორ მოჩანს მამის თეთრ წვერებზე დამდნარი ლოცვა? ალბათ, ასეც შეიძლება განისაზღვროს სიმბოლისტური პოეზიის ერთი ეტაპი: ეს არის განცდა იმისა, თუ როგორ სცილდება პოეტი შინაგანად მამისეული სარწმუნოების სამყაროს. სიმბოლისტურ პოეზიაზე საუბრისას ეს სიტყვები – *„მამისეული სარწმუნოების სამყარო“* – შეიძლება ნარმოითქვას ფიგურალურად, წინაპართა რწმენის მნიშვნელობით ან ქრისტიანულ სიმბოლოთა მნიშვნელობით. მაგრამ ტიციან ტაბიძის შესახებ საუბრისას ამ სიტყვებს გააჩნია სრულიად კონკრეტული, პიროვნული, ბიოგრაფიული მნიშვნელობაც. მისი მამა ნამდვილად იყო მღვდელი, ის ნამდვილად იხდიდა წირვას და მამისეული სარწმუნოებაც პოეტისთვის ნამდვილად არსებობდა ორმაგი, სულიერი და მატერიალური მნიშვნელობით – როგორც ზეციერი მამის მიერ ბოძებული სჯული, ხორციელი მამის მიერ დაცული და აღსრულებული. რასაკვირველია, თავად ტიციან ტაბიძეც ამ სჯულს ჰკარგავდა ორმაგი გარდაუვალობით მოცული – ჰკარგავდა როგორც პიროვნება და როგორც თავისი დროის შვილი; ეს განცდა გარდაუვალი იყო როგორც პიროვნული, ისე ეპოქალური თვალსაზრისით. ეს მაგალითი ნათელყოფს იმ მიმართებასაც, რომლის ძალითაც მნიშვნელობს ცალკეულ პოეტისათვის თავისი დროის ზოგად სულიერ და მსოფლმხედველობრივ არეალში აქტუალური პრობლემა. მამისეული სარწმუნოების დაკარგვა აისახებოდა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ლიტერატურაში, მაგრამ ყოველი კონკრეტული პოეტის შემოქმედებაში ამ პრობლემის ასახვას ესაჭიროებოდა გარკვეული პიროვნული ბაზისი, პიროვნული უფლება, რადგან პოეტს მოეთხოვება და მკითხველიც სრულიად აშკარად ითხოვს მისგან იმ პრობლემებზე საუბრის უფლებას, რომლებიც აქტუალურია მისთვის, როგორც კერძო პირისთვის, როგორც მკითხველისთვის. რა შეიძლება ანიჭებდეს პოეტს ამ უფლებას მკითხველის თვალში? ალბათ, მკითხველი ცხადად უნდა გრძნობდეს, რომ პოეტი ამ თემას ეხება არა იმიტომ, რომ ის აქტუალური, პოპულარულია მის დროში, არამედ იმიტომ, რომ ის პრობლემატურია პოეტისთვის, როგორც პიროვნებისთვის. რა თქმა უნდა, აქვე ამოქმედდება ის კანონზომიერება, რომლის ძალითაც პიროვნებისათვის გარკვეული პრობლემები შემთხვევით როდი იძენს აქტუალობას: მის სულზე ზეგავლენას ახდენს მისი დროის მტკივნეული საკითხები, მაგრამ ეს საკითხები მტკივნეულია სწორედ იმდენად, რამდენადაც ტკივილს იწვევს პიროვნების, პოეტის სულში. სიმბოლისტური ლიტერატურისა და, საზოგადოდ, ლიტერატურის ტრადიციის თანახმად, ტიციან ტაბიძე, როგორც შემოქმედი, გვესაუბრება სწორედ მისი ტკივილის შესახებ. შეიძლება, გარკვეულ ეტაპზე სიმბოლისტური ლიტერატურის არსიც კი დაუკავშირდეს ტკივილის გაცნობიერების, მისი სიმძაფრის აღქმისა და გამოხატვის სურვილს. თუკი მკითხველს სიმბოლისტური პოეზიის დისკრედიტაცია სურს (მსგავს სურვილს შეიძლება განაპირობებდეს ამ პოეზიის მიუღებლობა მსოფლმხედველობრივი ან, თუნდაც, იდეოლოგიური პოზიციიდან), ამისთვის შეიძლება საკმარისი გახდეს იმ უმთავრესი გრძნობის დისკრედიტაცია, რომელიც საფუძვლად უდევს ამ ლიტერატურას. ტიციან ტაბიძის სიმბოლისტური ლექსებიც შეიძლება მიუღებელი ან გაუგებარი დარჩეს მკითხველისათვის, თუ მისთვის უცხოა მსგავსი ტკივილი ან არ აღიარებს პიროვნების არსებაში ამ ტკივილის არსებობის შესაძლებლობას, ან დაეჭვებულია იმაში, რომ პოეტი ბოლომდე შეიგრძნობს ტკივილს. ამ შემთხვევაში საკმარისია ითქვას, რომ ამ ლექსებში გამოხატული ტკივილი არ არის წრფელი, ანუ არ წარმოადგენს ავტორისეულ პიროვნულ რეალობას, და თავად ლექსებიც აღარ იქნება აღქმული როგორც ლიტერატურული რეალობა. მეორე მხრივ, შესაძლოა, სწორედ ამ ტკივილის სიწრფელე ქმნის კიდეც ლექსს, როგორც ლიტერატურულ რეალობას, განაპირობებს ლექსის მხატვრული ზემოქმედების ძალას; სწორედ ამ ტკივილის გაცნობიერების პროცესში შეიძლება იძენდეს პოეტი პიროვნულ გამოცდილებას, რაც გარდაისახება მწერლურ გამოცდილებადაც. ამ პროცესში შეიძლება ამოქმედდეს კონკრეტული მწერლისა და მის მიერ გათავისებული ლიტერატურული მიმდინარეობის მიმართებაც, რადგან სწორედ აქ ჰპოვებს პოეტი საკუთარ განცდათა ანალოგს. XIX-XX საუკუნეთა გასაყარზე კი სწორედ მამისეულ სარწმუნოებასთან მიმართების ტკივილიანი განცდა წარმოადგენდა მხატვრულ ქმნილებათა შინაგან საფუძველს. რა თქმა უნდა, ყველასათვის ცნობილია, რომ ამ პრობლემის დეკლარირება სწორედ სიმბოლისტურმა ლიტერატურამ მოახდინა. სწორედ ამ ეპოქის ლიტერატურული პროცესი, საკუთრივ, სიმბოლისტური მიმდინარეობა ანიჭებდა მწერალს უფლებას და, შესაძლოა, მოითხოვდა კიდეც მისგან, დაუფარავად ელაპარაკა საკუთარი ტკივილის შესახებ. სწორედ სიმბოლიზმის კონტექსტში გააჩნდა მწერალს უფლება, ეხსენებინა საკუთარ ლექსებში მამისეული სარწმუნოება, ღმერთი, სული; გამოეხატა ღვთისა და მამისეული სჯულის დაკარგვით გამოწვეული სულიერი ტკივილი ისე, რომ თავადვე არ აღძვროდა ეჭვი საკუთარი განცდების სიწრფელეში.

ლოცულობს მამა მწუხრის ლოცვას,
მუნჯად ვუცქერი,
ფსალმუნი სულში შეფრინდება
და იმარხება.

სიმბოლისტი პოეტის მიერ საკუთარი სარწმუნოების დაკარგვა მით უფრო მტკივნეულად ისახება, რამდენადაც ცხადად გვიჩვენებს, რომ ეს არ არის მისთვის უცხო და უმნიშვნელო სივრცის გულგრილი უგულებელყოფა, არამედ სულში დაცული სივრცისაგან დაშორება. იგი ვერ ფლობს საკუთარ სულს, ვეღარ ფლობს იმ მცნებებს, რომლებიც გულში ღრმად დაიმარხა, ვეღარ ფლობს საკუთარ თავს. მამისეული სარწმუნოების დაკარგვით, საკუთარი სულიერი სივრცის კვალდაკვალ, იგი გაუცხოვდება იმ სივრცისაგანაც, რომელშიც მოქმედებს ეს სარწმუნოება და რომელშიაც ქმედითი უნდა გამხდარიყო მისი სული:

გრძელია ჟამი, ღვდელმსახურობს
რაც ჩემი გვარი.
ვინ დათვლის წირვას, რაოდენი
გამოიყვანეს.
ეხლაც ეზოს წინ დაღვრემილი
მოსჩანს საყდარი,
ეს გერბი არი, ამაყ მგოსანს
რომ დამიხატეს.

„დაღვრემილი საყდარი“, ბუნებრივია, პოეტის პიროვნული თვალთახედვით აღქმული სივრცეა. მამისათვის ეს ტაძარი დაღვრემილი არ იქნებოდა, რადგან სულიერი თვალსაზრისით მამას გააჩნდა ამ საყდარში შესვლის უფლება. პოეტისთვის კი საყდარი უკვე გაუცხოებულია, უფრო ზუსტად კი, იგი თავს გრძნობს ამ საყდრისგან გაუცხოებულად. მან დაკარგა საკუთარ სულიერ სივრცესთან ერთიანობა, დაკარგა საკუთარი შინაგანი სივრცის საყდრის შინაგან სივრცესთან შერწყმის უფლება. რამდენადაც ეს უფლება სულიერად არის დაკარგული, იგი არ შედის საყდარში, ხორციელადაც რჩება საყდრის გარეთ, ხედავს ეზოს წინ მდგარ საყდარს და გრძნობს, რომ იქ არ შეესვლება. მაგრამ ნიშანდობლივია, რომ ის ეზო, საიდანაც არის დანახული საყდარი, სწორედ მამისეული ეზოა. ამდენად, ცხადი ხდება, რომ თუ ჯერ კიდევ შენარჩუნებულია მამისეულ ეზოში ყოფნის უფლება, შენარჩუნებულია ფიზიკური კავშირი ხორციელი მამის საცხოვრისთან, რაც, ბუნებრივია, შეიძლება აღვიქვათ, როგორც ზეციური მამის სასუფეველში სულიერი დაბრუნების, მამისეულ სარწმუნოებასთან კვლავ შეკავშირების იმედი. მაგრამ, რაოდენ მტკივნეულიც არ უნდა იყოს ეს პოეტისათვის, მის ლექსებში აისახება მამისეულ გარემოსთან კავშირის გაწყვეტაც:

ჩემ ეზოს ჩრდილში მოწყობაზე მეც მიფიქრია,
ახ! მეც მინდოდა, რომ მქონოდა სახლი და ფუძე!
დღეს ხეტიალში ყველა გაჰქრა, ანდა მიჰქრიან,
დიდების ძეგლად მხოლოდ დამაქვს ჩემივე კუზი.

ეზო, სახლი და ფუძე, ბუნებრივია, მატერიალურ სამყაროში სიმკვიდრის ნიშნებია. რატომ ქრება ეს ნიშნები ხეტიალში, ან რა ხდება ამ ხეტიალის წინაპირობა? ბუნებრივია, მამისეული სახლიდან წამოსვლის წინაპირობა ხდება ის, რომ პოეტი უკვე წამოსულია ჭეშმარიტი მამის სახლიდან, ღვთის სახლიდან, რომელიც, ამავე დროს, მისი ხორციელი მამისთვისაც წარმოადგენდა სულიერ სამყოფელს, ღმრთისმსახურების ადგილს. რამდენადაც პოეტი აღარ მკვიდრობს მამისეულ საყდარში და მამისეულ ეზოში სულიერი თვალსაზრისით, იგი ტოვებს მათ ფიზიკურადაც. ის, რასაც მოიპოვებს უსახლკაროდ და უსაყდროდ დარჩენილი პოეტი ამ ხეტიალში, ვერ იქნება სულიერი მონაპოვარი, ეს ფიზიკურად ხელშესახები რამ არის, ეს ხინჯია, კუზი. შესაძლოა, ეს კუზი, როგორც ხორციელი ხინჯის ნიშანი, იმთავითვე არსებობდა; შესაძლოა, ეს არასრულქმნილება სწორედ მემკვიდრეობით არის მიღებული, მაგრამ სანამ პოეტი ცხოვრობს მამისეული სულიერი მემკვიდრეობის სამყაროში, ხორციელი ხინჯი არ ფიგურირებს, როგორც ნიშანი. ის გამოიკვეთება სწორედ მაშინ, როცა იკარგება სულიერი სივრცე და უსივრცო ხეტიალში გაქრება მამისეულ სამყაროსთან სულიერი ერთიანობის ნიშნები. პოეტისათვის ერთგვარად აუცილებელიც ხდება ამ კუზის ტარება. ის ამ გზით ახდენს სულიერი ხინჯის მატერიალიზაციას. ის, რომ მისი სული მოიღუნა, გამოიხატა ფიზიკურად, ზურგის მოღუნვით:

მე თქვენზე ადრე ვეკითხები ჩემ საკუთარ თავს –
რად მოიღუნა ასე სული, ან რამ არია?

შესაძლოა, ტიციან ტაბიძისთვის ეს აღარც არის შეკითხვა. მისთვის ცხადია ამ კითხვის პასუხი და არც ვინმესგან ითხოვს ახსნა-განმარტებას. მაგრამ მოღუნული სულის ანუ დისჰარმონიული სულის კვალდაკვალ მის ლექსებში მამისეული სამყაროს დისჰარმონიული სურათებიც აღიბეჭდება:

ორპირი ლპება – როგორც ლეში ლევიაფანის,
რიონის ფშანებს აედევნენ გრძელი ყანჩები,
მოიღუნება ჩემი სული – წნელი ლაფანის,
მხოლოდ ყანჩები – ჭაობების მჭლე ლამანჩები.

რასაკვირველია, ორპირი, მამისეული სოფელი, ჭაობიანი და დაცარიელებული იყო ჯერ კიდევ ტიციანის ბავშვობაში, ამდენად შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს „უცნაური პეიზაჟი“ წინ უსწრებს მისი სულის უცნაურობას, მაგრამ ტიციან ტაბიძის „ავტობიოგრაფიიდან“ ნათლად ჩანს, რომ მატერიალური სივრცე სრულიადაც არ არის სულიერი სივრცის რღვევის წინაპირობა. ნათლად ჩანს ისიც, რომ ტიციანის პიროვნულ ცვალებადობასთან ერთად იცვლება მისი ასოციაციებიც. ბავშვობაში *„ტროპიკული გვიმრები, ლიანები, ჭადრისა და ალვის ხეების ხშირი რიგები და ალაგ-ალაგ ჭაობიანი სახნავების ფართო არე ჩემს გონებაში აცოცხლებდნენ მაინ რიდისა და ალექსანდრე დიუმას რომანების გმირებს. უფრო მოწიფულ ასაკში ორპირი და რიონის დელტა მაგონებდა მითს მამაც ოქროსმაძიებლებზე – არგონავტებზე, რომლებიც ამ მიდამოებში გადმოსხდნენ“*. დიუმასა და მაინ რიდის რომანებს და არგონავტების მითს, ბუნებრივია, არაფერი აქვს საერთო დისჰარმონიასთან. დისჰარმონია გარესამყაროს დაუკავშირდება მაშინ, როცა პოეტი სულიერად უკვე თავისი დროის აქტუალური პრობლემების სფეროში იგრძნობს თავს: *„ჩემს თვალწინ ციებისაგან იჟლიტებოდა მთელი სოფლები, წყევლა-კრულვით სტოვებდა ხალხი შეჩვეულ ადგილებს. ამ ამბის ხილვა მაგონებდა ფრანგი პოეტის ლოტრეამონის ლექსებს. გომბეშოს მონოლოგი „მალდორორის სიმღერიდან“ – ეს იგივე ორპირის ბაყაყების ყოველდღიური ორკესტრი, იგივე გადაგვარების სიმღერა იყო“*. ცხადია, რომ სწორედ სიმბოლისტური პოეზია მიუძღვის ტიციან ტაბიძეს საკუთარი სულიერი მდგომარეობის გაცნობიერებისაკენ, შინაგანი მდგომარეობის ანალოგს კი გარესამყაროს სურათებში ხედავს. ამიტომ ისახება მის სიმბოლისტურ ლექსებში ორპირის დისჰარმონიული ხატება. მაგრამ, რაც ყველაზე შემაშფოთებელია, ეს დისჰარმონია გადასწვდება მამას და მამისეულ სჯულს, უფრო ზუსტად კი მის სიმბოლურ ნიშანს – ოლარს:

ძველი ორპირი, დანგრეული
სანაოები.
ეწყება მთვარეს ხაშმიანი
ცხელების სრესა.
მამის ოლარზე ობობების ქსელი მოება.
ღამეა თეთრი და შავია
ქალდეას მესსა.

დასასრული მომდევნო გვერდზე

მამისეული სარწმუნოების აღქმა ტიციან ტაბიძის სიმბოლისტურ ლექსებში

მე-3 გვერდიდან



ამჯერად ორპირის სივრცეში უკვე აღარ იგრძნობა მამის მყოფობა, მამა გარდაიცვალა. მისი სულიერი მემკვიდრეობაც განქარდა, დარჩა მისგან მხოლოდ ოლარი. რადგან ოლარზე უკვე ობობების ქსელია გაბმული, ცხადად იკითხება ისიც, რომ შვილმა არ იმემკვიდრა მამისეული საქმე, მამისეული რწმენა, მამისეული სარწმუნოება. მამის სიკვდილთან ერთად ცნაურდება მთელი სისავსით მისი დროის საზარელი სიტყვები: *„ღმერთი მოკვდა“* და მამის მიერ გადახდილი წმინდა წირვის ადგილს ლექსში იკავებს *„ქალდეას შავი მესსა“*.

რა სამყაროა ქალდეას სამყარო? რატომ დაფიქსირდა ის სრულიად მოულოდნელად შავ მესასთან ერთად? ქალდეა ხომ ტიციან ტაბიძისათვის თითქოს არ იმოსებოდა ბნელით? ის ხომ წინაპართა დიდებულ წარსულთან იყო ასოცირებული:

ძველი ქალდეა სწვავს ოცნებას
და ეძახის სულს
ოქროს ლექსებში მე ვუმღერებ
დიდებულ წარსულს.

ქალდეასადმი სწრაფვაც ხომ წინაპართა ძველთუძველესი სამყაროსადმი მისწრაფებად იყო აღქმული? რატომ უნდა დაშორებოდა პოეტი მამისეულ სამყაროს, მამისეულ სიწმინდეს, თუკი ქალდეაც წინაპართა წიაღში აბრუნებდა მას? ან კი რატომ დაუპირისპირდა ერთმანეთს *„მაგი წინაპარი“* და მამა? რასაკვირველია, წინაპრებისა და მამის ცნებები შეიძლებოდა ურთიერთგაიგივებულადაც წარმოგვედგინა, ამის საფუძველს მოგვცემდა მათი ერთიანობა სიტყვაში „მამა-პაპა“, სადაც მამა იმ უახლოეს წინაპრად არის აღქმული, რომლისგანაც ენიჭება პიროვნების მყოფობა. მაშ, რა ნიშნით შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან მაგი წინაპარი და მამა? რა თქმა უნდა, ეს ნიშანი არის სჯული. მამისეული სარწმუნოება არ თანხვდება ქალდეველ წინაპართა წარმართულ რწმენას. წარმართობა უპირისპირდება ქრისტიანობას. ცხადია, ეს თემა მხოლოდ ტიციან ტაბიძის პოეზიაში როდი დამუშავებულა. წარმართობისადმი და არაქრისტიანული რელიგიებისადმი ინტერესი ისეთივე მნიშვნელოვანი მახასიათებელია იმ ეპოქისა, როგორც თავად ქრისტიანული სარწმუნოებისაგან დაცილება. ტიციან ტაბიძის ლექსებშიც ნათლად არის მითითებული, რომ, როცა იგი ქრისტიანულ მოძღვრებაში ვეღარ ჰპოვებს ტრანსცენდენტურ სამყაროში გაჭრის გზას, ამ გზის ძიებას იწყებს წარმართობაში. მაგრამ ტიციან ტაბიძეც ნათლად დაგვანახებს იმას, რომ მიღმიერი სამყაროსაკენ მიმავალი ყველა გზა როდია კურთხეული. მამისეული სჯულის დაკარგვის ტკივილს ენაცვლება ტკივილიანი შეგრძნება იმისა, რომ ახალარჩეული გზა შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს და ღმრთისმსახურების ნაცვლად ბოროტის მსახურებამდე მიიყვანოს პოეტი. ამასთანავე, ცხადია ისიც, რომ ეს ახალარჩეული გზა სინამდვილეში სულაც არ არის ახალი. ის წინაპართა ძველი გზაა, რომელიც ჭეშმარიტი სჯულის მიღებით დაგმობილი და უარყოფილი იქნა მამათა მიერ. მამისეულ გზას იმ ჭეშმარიტ სივრცეში უნდა დაემკვიდრებინა პოეტი, რომელში დარჩენაც მან შინაგანად ვერ შეძლო. ვერ შეძლო მან ვერც უსაყდრო, მატერიალურ სივრცეში დარჩენა, რადგან სულგამოცლილი მატერია აღარ ფასობს სიმბოლიზმში. სწორედ ამიტომ იწყება მიღმიერების ძიება, რასაც თან სდევს შეგრძნება იმისა, რომ მამისეული სჯულისაგან დაცლილი სამყარო დაწყევლილია და აპოკალიფსისათვის გამზადებული:

ჩემთვის ქალდეა სახვევია
მშრალი ბალღამის,
დაწყევლილ მინდვრებს გაუმზადებს
მშიერ კალიებს.

თანამიმდევრობა ამგვარია: წარმართული ღვთაების განდიდება მოგვ წინაპართა მიერ, ჭეშმარიტი ღვთის ქება მამის მიერ და უკანასკნელი ლიტურგია, შვილის მიერ გადახდილი:

წინაპართ ჩრდილნო, გულს არ დაგწყვეტთ
ჩამომავალზე,
მე მაბეზღებენ, რომ მხედავენ
აქამდისინ მშვიდს,
და თუ ვეღარ ვთქვი ლიტურგია
მე თავის თავზე,
ქვეყანას მაინც გადავუხდი
ერთხელ პანაშვიდს.

რასაკვირველია, დასაღუპად განწირული პოეტი და დასაღუპად განწირული ქვეყანა სიმბოლიზმის ნაცნობი, „ძველი“ თემაა, მაგრამ ის ინტერპრეტირებულია მამის, უფრო ზუსტად კი, უმამობის სახეში, უმამობას კი თან სდევს უაბჯაროობაც:

...და მე ხანდახან მეჩვენება
ვითომ სამყარო
ბაღია დიდი, დაწყევლილი
და შხამიანი.
მძიმე მხედარნი, შუბლშეკრულნი
და უაბჯარო
მოჰქრიან: რემბო, ერედია,
ემილ ვერჰარნი.

მამისეული სჯულის გარეშე დარჩენილი სამყარო კვლავ წყევლასთან არის ასოცირებული, მაგრამ ვის მიერ არის დაწყევლილი ეს სამყარო? – არც ღმერთისაგან და არც მამისაგან (თუმცა იმ ეპოქის მწერლობაში ჩვენ ხშირად ვხვდებით მამის წყევლასაც). შესაძლოა, ამჯერად სამყარო დაწყევლილია თავად პოეტისაგან, იმ პოეტისაგან, ვინც ხდება ამ ბაღის მფლობელი. რასაკვირველია, ისინი სიმბოლისტი პოეტები არიან. ნაცვლად მამისეული ქრისტიანული მოძღვრებისა ახლა პოეტი სიმბოლისტურ მოძღვრებას, სიმბოლიზმის „დაწყევლილ პოეტებს“ და „შხამიან ყვავილებს“ უკავშირებს თავის წარმოსახვას.

როგორ აბრუებს დამწველ შხამით
ყვავილები სულს?..
თითქო მორბიან გიჟი რბენით
აქ კენტავრები.
ცხელი უდაბნო უფრო ცხოველს
უძახის წარსულს
და ცას ეწვება, როგორც ძველ სახლს
ცეცხლში ყავრები.

რასაკვირველია, პოეტი ნათლად ხედავს, რომ მისთვის წარსული მამისეულ ხანაზე უფრო ცხოველი ხდება, მაგრამ ამ პროცესს კონკრეტულად უკავშირებს იმასაც, რომ ამგვარი სამყარო ჰკარგავს ცის მფარველობას *(„ცას ეწვება ცეცხლში ყავრები“)* ისევე, როგორც ჰკარგავს მფარველობას ამ სამყაროში დარჩენილი ადამიანი.

თითქო შეცდომით შემიყვანა
ვიღაცამ ბაღში
და შიშით ვხედავ გიგანტის ჩრდილს,
მიმფრინავ მხედარს.
უღონო, სუსტი, ავტირდები
პატარა ბავშვი
და თან მრცხვენია, ვიხედები,
ხომ არვინ მხედავს.

უღონობა, სისუსტე, რა თქმა უნდა, მფარველური ძალის დაკარგვით გამოწვეული მდგომარეობაა. მამისეულ ძალას მოკლებული პოეტი ბავშვად რჩება, იგი ვერასოდეს იქცევა მამად, ვერასოდეს დაასრულებს სულიერ ზრდას, ვერასოდეს გახდება მამისეული სჯულის მემკვიდრე და მფლობელი. იგი განწირულია იმისათვის, რომ დაკარგოს ღვთის მფარველობაც, დაკარგოს ღვთის მადლის საჭურველი, იყოს „უაბჯარო“. მადლის საჭურველი, რომელიც ღვთის რწმენით აღსავსე ადამიანს ებოძება უფლისაგან, სწორედ მამისეული ლოცვა-კურთხევით, მამისა და მამისეული სჯულის ერთგულებით არის მოსაპოვებელი. ეს არის ის ერთადერთი ფასეულობა, რომლის იმედითაც შეიძლება გაუშვას შვილი გარესამყაროში ხორციელმა მამამ, რომლის იმედითაც სტოვებს ადამიანს ცოდვით დაცემულ ხორციელ სამყაროში ზეციერი მამა. ტიციან ტაბიძესთან კი უაბჯაროდ რჩება ყველა ის პოეტი, რომელიც თავის სულში უშვებს გარესამყაროს დისჰარმონიას.

ვინ მომიყვანა, ვინ გამიშვა
ამ ბაღში ბავშვი?
დამწვარ ქალაქის ვინ აუშვა
ჩემ სულში ბოლი?

რასაკვირველია, ამ კითხვის პასუხიც ნათელია პოეტისათვის, რადგან მის ლექსებში ის სავსებით ცხადად წარმოაჩენს იმ მიმართებას, რომლის მიხედვითაც ცოდვიან სამყაროში უაბჯაროდ აღმოჩნდება მხოლოდ ის, ვინც ამ ცოდვას უშვებს საკუთარ სულში, სცოდავს მამისეული სარწმუნოების წინაშე და სცოდავს სწორედ მამისეული სარწმუნოების უარყოფით.

რა შეიძლება სდევდეს თან დაცემულობის, სულიერი სიკვდილის შეგრძნებას? რასაკვირველია, გლოვა. ტიციან ტაბიძის სიმბოლისტურ ლექსებშიც ისევე ნათლად აისახება გლოვა, როგორც მთელს სიმბოლისტურ ლიტერატურაში. ეს გლოვა შეიძლება ეხებოდეს დაკარგულ სარწმუნოებას *(„მკვდარ ღმერთს“)*, პოეტის დაცემულ სულს, ცოდვით დაცემულ ქვეყანას, რომელსაც პოეტი უკანასკნელ პანაშვიდს უხდის. იგი თავად რჩება ღვთის მადლის გარეშე, თავად აღარ მონაწილეობს ლიტურგიაში. მაგრამ გლოვობს იმ სამყაროს, რომელიც იღუპება მასში და მის გარეთ. სიმბოლისტური მსოფლმხედველობის თანახმად, ამჯერადაც სწორედ პოეტი გვევლინება იმ ფიგურად, რომელიც შეიგრძნობს, წინასწარმეტყველებს სამყაროს აღსასრულს და იგლოვს მას. ასევე იგლოვს იგი ცოდვით დაცემულ საკუთარ სულსაც. ტიციან ტაბიძესთანაც გვხვდება იმის შეგრძნება, რომ განსვენების ჟამსაც მასთან არ მივა უფლის ხსენება:

თორმეტმა ღვდელმა მამა გასუდრეს,
მე ერთი ღვდელიც არ ამიგებს წესს...

საკუთარი თავის, საკუთარი სულის გლოვაც მამასთან მიმართებით არის აღქმული. მამის *„ქრისტიანობით აღსასრულს“* უპირისპირდება პოეტის უღმერთო მიცვალება. საკუთარი თავის გლოვა ტიციან ტაბიძის ლექსებში გამოისახება მამის გლოვასთან მიმართებითაც. მამა იგლოვს მის დაცემულ შვილს:

ყოველი თვალი მომაგონებს ბრმა მამის თვალებს,
ჩემზე სტირიან ეს თვალები თავის ღამეში.

მაგრამ ამ ლექსებში მამის მიერ შვილის დატირებას ენაცვლება შვილის მიერ გამოგლოვილი მამის სახე. შეიძლება ითქვას, რომ ტიციან ტაბიძის ლექსებში მამის გარდაცვალებას, გარდაცვლილი მამის გლოვას დაუკავშირდება საკუთარი თავისა და დაცემული ქვეყნის გლოვაც და, რაც ყველაზე ნიშანდობლივია, დაკარგული მამისეული სარწმუნოების გლოვაც. ლექსებში „ღვდელი და მალარია“ და „ღვდელი და მალარია კუბოში“ სრულიად ნათლად არის დახატული მამის სიკვდილიც და უმამოდ დარჩენილ სამყაროში მიუსაფრობის განცდაც. ნიშანდობლივია, რომ სწორედ მამის სიკვდილთან არის დაკავშირებული გარესამყაროს განწირულობის იდეაც. სწორედ ამ დროს აღიმართება ქალდეას ზეცა, ვით ეშაფოტი და რექვიემივით გაისმება ყველა არია. მას შემდეგ, რაც მამა სტოვებს მიწიერ სამყაროს, პოეტის წარმოსახვაში ეს სამყარო საბოლოოდ იცლება მამისეული სარწმუნოებისაგანაც. ტიციან ტაბიძისათვის გაუცხოვდება თავად მღვდლის სახეც, მღვდლის იდეაც.

გავა წლისთავი... ნოემბერი,
ბნელ ოლარებით,
ჩემში ატირებს მამაჩემის
შავ ანაფორას.
უკანასკნელი ლექსი ჩავდე
მე მონანებით,
როდესაც გულზე უცხო ღვდლები
ადგამდნენ გორას.

„ბნელი ოლარისა“ და *„უცხო ღვდლების“* სახეები აშკარად მიგვითითებენ მამისეული სარწმუნოებისაგან გაუცხოების პროცესის დასასრულზე. მიწიერ სამყაროში უკვე აღარ ისახება მამისეული სჯულისა და მამის იმედი, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ მას შემდეგ, რაც მამა სტოვებს მატერიალურ სამყაროს, მისი იმედი გადასწვდება მიღმიერ სამყაროსაც. ახლა მამა ისახება იმ ძალად, რომელიც მფარველობს შვილს შეუცნობადი სამყაროს წინაშე, მფარველობს მას ცოდვისა და წარწყმედის, სიკვდილის წინააღმდეგ ბრძოლაში:

როგორც ყოველთვის, თვით სიკვდილსაც
შევებით ორი
და ჩემთან იბრძვის შენი ლანდი,
სხვისთვის მიმქრალი.

ამდენად, სულიერი დაცემისა და გლოვის კვალდაკვალ, პოეტი მაინც გვამცნობს, რომ მამის სახე, მამის ლანდი არ არის მისთვის მიმქრალი, დაკარგული. სწორედ ამიტომ არ მიმქრალა მის სულში დაკარგული მამისეული სარწმუნოების დაბრუნების იმედიც, სულიერი *„მიეთმოეთის“* დაძლევის, სულიერი აღდგინების იმედიც:

ძვირფასო მამა, იყავ იქაც
ყოველთვის მშვიდი,
გახსოვდეს ქვეყნად რომ დატოვე
შვილი პოეტი.
და მეასეჯერ გადიხადე
იქ პანაშვიდი.
რომ დამიწყნარდეს
მე ცხოვრება მიეთმოეთი.

ხორციელი მამა, რომელიც სჯულის ერთგულების, ღმრთისმსახურების ძალით მოიპოვებს ზეციერი მამის სასუფეველს, ცოდვით დაცემული შვილისთვის იქცევა განწმენდის გზად. ხორციელი მამის გზა აბრუნებს მას იმ ჭეშმარიტ გზაზე, რომლითაც ქრისტე მიუძღვის ადამიანს სასუფევლისაკენ. ეს გზებიც ისევე ერწყმის ერთმანეთს, როგორც ერწყმის ტიციან ტაბიძის პოეზიაში ერთურთს ხორციელი მამისა და ზეციერი მამის სახე-სიმბოლოები.

გელა წიფურია
ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

რეკომენდებული სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
ბრძანება №138
2009 წლის 18 მარტი
ქ. თბილისი

რეკომენდებული სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „წ“ ქვეპუნტის, მე–3 მუხლის მე–2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული რეკომენდებული სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესი.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „რეკომენდებული სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 11 მაისის №428 ბრძანება.
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნიკა გვარამია
მინისტრი

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სკოლის სახელმძღვანელო** – ეროვნული სასწავლო გეგმის, მასში შემავალი საგნობრივი პროგრამის (საგნობრივი სტანდარტისა და პროგრამის შინაარსის) მიხედვით შედგენილი წიგნი, რომელიც განკუთვნილია ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული შედეგების მიღწევისათვის და რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) მიერ მინიჭებული აქვს რეკომენდებული სახელმძღვანელოს გრიფი (შემდგომში – გრიფი);

ბ) **მასწავლებლის წიგნი** – სახელმძღვანელო, რომელიც მასწავლებელს აძლევს მეთოდური ხასიათის მითითებებს და რომლის საფუძველზეც მასწავლებელი ახორციელებს სწავლებას;

გ) **მოსწავლის წიგნი** – სახელმძღვანელო, რომელიც განკუთვნილია მოსწავლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ასათვისებლად;

დ) **მოსწავლის რვეული** – მოსწავლის წიგნის ნაწილი, დაბეჭდილი, ან მოსწავლის წიგნში, ან დანართის სახით, რომელიც განკუთნილია მოსწავლის მიერ სავარჯიშოების, აქტივობებისა და სხვა დავალებების შესასრულებლად;

ე) **საგნობრივი სტანდარტი** – ეროვნული სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ადგენს იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალს, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს კონკრეტულ საგანში ან/და საგნობრივ ჯგუფში;

ვ) **მიმართულება** – საგნობრივი სტანდარტის ნაწილი, რომელიც მოიცავს ერთ ან რამდენიმე სფეროს;

ზ) **წიგნის შემფასებელი** – ექსპერტი, რომელიც აფასებს გამომცემლობის მიერ წარმოდგენილი წიგნის შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან და ამ წესის დანართით გათვალისწინებულ წიგნის შეფასების კრიტერიუმებთან.

მუხლი 2. გრიფირების ძირითადი მოთხოვნები

1. გრიფის მინიჭება (შემდგომში – გრიფირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ:

ა) გრიფის მისაღებად წარმოდგენილია მასწავლებლის წიგნი, ან მოსწავლისა და მასწავლებლის წიგნი ერთად, რომელიც განკუთვნილია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნისთვის, საგნობრივი ჯგუფის ან/და მიმართულებისათვის, რომლისთვისაც არსებობს საგნობრივი სტანდარტები;

ბ) წიგნი წარმოდგენილია გრიფის მისაღებად იმ იურიდიული პირის მიერ, რომელიც ახორციელებს საგამომცემლო საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (შემდგომში – გამომცემლობა);

გ) რედაქტორი, ავტორი ან დიზაინერი არ არის სამინისტროს, ცენტრის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ან/და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გამოცდების ეროვნული ცენტრის თანამშრომელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახელმძღვანელოს შექმნა ფინანსდება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სამინისტროს ან ცენტრის მიერ და არ ატარებს მოგებაზე ორიენტირებულ ხასიათს

2. გრიფის მინიჭება არ ხდება, თუ:

ა) წარმოდგენილი წიგნი არ აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ მოთხოვნებს;

ბ) წარმოდგენილი წიგნი შეადგენს დამხმარე სასწავლო მასალას (დამატებით ლიტერატურას, რუკებს, ატლასებს, ენციკლოპედიებს და სხვ.);

გ) არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ წარმოდგენილი მასალა შექმნილია ამ წესით გათვალისწინებული ნორმებისა და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით;

დ) გამომცემლობა, რედაქტორი, ავტორი, დიზაინერი ან სხვა ნებისმიერი პირდაპირ ან ირიბად დაინტერესებული პირი, წიგნის შემფასებლებზე ან/და ცენტრის სხვა თანამშრომლებზე ახორციელებს გრიფირების პროცედურით გაუთვალისწინებელ ზემოქმედებას, ერევა მის საქმიანობაში ან ცდილობს მათთან გარიგებაში შესვლას შეფასების ან/და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ზეგავლენის მიზნით;

ე) წიგნი შინაარსით, დიზაინით ან სხვა რაიმე ნიშნით ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

ვ) სასწავლო მასალა განკუთვნილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლებისათვის.

მუხლი 3. გრიფის მოქმედების ვადა

1. გრიფის მინიჭება თითოეული საგნის, საგნობრივი ჯგუფის ან/და მიმართულების წიგნისთვის ხდება კლასების, საფეხურის ან დონეების მიხედვით.

2. კონკრეტული კლასის სახელმძღვანელოების გრიფის მოქმედების ვადა განისაზღვრება 5 წლით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ კლასის საგანში, საგნობრივ ჯგუფში ან მიმართულებაში მნიშვნელოვნად იცვლება სასწავლო გეგმა.

3. თითოეულ საგანში, საგნობრივ ჯგუფში ან მიმართულებაში სასწავლო გეგმის მნიშვნელოვანი ცვლილება გრიფის გაუქმების საფუძველია.

მუხლი 4. გრიფირების პროცედურა

1. ცენტრი, ყოველი წლის 30 იანვრამდე, აქვეყნებს გრიფის მინიჭებისთვის განაცხადის შემოტანის, საგანმანათლებლო რესურსცენტრებში სახელმძღვანელოების განთავსების, სახელმძღვანელოების ნიმუშების ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნების ვადებსა და ფორმას კონკრეტული კლასის, საგნის, საფეხურის, დონის, საგნობრივი ჯგუფის ან მიმართულებისათვის.

2. გრიფის მინიჭებისთვის განაცხადის შემოტანის ვადის დასრულებამდე, არაუგვიანეს 2 კვირისა, ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ადგენს და ცენტრის მიერ მითითებულ ვებგვერდზე აქვეყნებს იმ ექსპერტთა ნუსხას, რომლებიც განახორციელებენ გრიფის მისანიჭებლად წარდგენილი წიგნების შეფასებას.

3. ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადებში გამომცემლობამ უნდა წარმოადგინოს:

ა) ამ ბრძანების დანართის მიხედვით შედგენილი საკუთარი ნერილობითი თვითშეფასება წიგნის სახელმძღვანელოდ გამოყენების შესახებ;

ბ) წიგნის დასრულებული ბეჭდური ეგზემპლარი (მოსწავლის და/ან მასწავლებლის წიგნი) ცენტრის მიერ დადგენილი რაოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ გამომცემლობის მიერ გათვალისწინებულია წიგნის ფერადი ტირაჟირება, წიგნი წარმოდგენილი უნდა იყოს ფერადი სახით. შესაძლებელია ფერადი ვარიანტის წარმოდგენა ელექტრონული ფორმით;

გ) ცენტრის მიერ დადგენილი ფორმით ჩამოყალიბებული წიგნის ელექტრონული ნიმუშები ცენტრის მიერ მითითებულ ვებგვერდზე გამოსაქვეყნებლად.

4. ცენტრი ვალდებულია, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაადგინოს წიგნის შემფასებლის მიერ გრიფის მისანიჭებლად წარმოდგენილი წიგნის შეფასების განსაზღვრული ვადა.

5. ექსპერტები, ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, აფასებენ გამომცემლობის მიერ წარმოდგენილი წიგნის შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან და ამ წესის დანართით გათვალისწინებულ წიგნის შეფასების კრიტერიუმებთან და იღებენ შესაბამის დასკვნას.

6. ექსპერტების მიერ გრიფის მისანიჭებლად წარმოდგენილ წიგნზე შესაბამისი დასკვნის მომზადების შემდეგ, ცენტრის დირექტორი, არა უგვიანეს ყოველი წლის 30 მაისისა, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც ასახულია გრიფის მისანიჭებლად წარდგენილი წიგნების შეფასებები ამ წესის დანართით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით და დაუყოვნებლივ აქვეყნებს მას ცენტრის ვებგვერდზე.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების გამოქვეყნებიდან 7 დღის ვადაში გამომცემლობა ვალდებულია წერილობით შეატყობინოს ცენტრს გრიფის მისანიჭებლად წარდგენილი წიგნის შეფასებების გათვალისწინებით, გეგმავს თუ არა მომდევნო სასწავლო წლისთვის წიგნის დაბეჭდვას.

8. იმ შემთხვევაში, თუ გამომცემლობა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში გამოხატავს თანხმობას წიგნის ბეჭდვაზე, ამ ვადის ამოწურვიდან 3 დღის ვადაში, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, წიგნს ენიჭება სახელმძღვანელოს გრიფი, რაც დაუყოვნებლივ ქვეყნდება ცენტრის ვებგვერდზე და განთავსდება სპეციალურ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოთა კატალოგში.

მუხლი 5. გამომცემლობების უფლებები და ვალდებულებები

1. გამომცემლობა უფლებამოსილია:

ა) მიაწოდოს ცენტრს საკუთარი მოსაზრებები გრიფის მინიჭების პროცედურის, წიგნის შეფასების კრიტერიუმებისა და სახელმძღვანელოების გავრცელების საკითხებთან დაკავშირებით;

ბ) სხვა ენაზე/ენებზე თარგმნოს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, რაც საჭიროებს ცენტრის მხრიდან თანხმობას. ნათარგმნი სახელმძღვანელო, ხელახლა წარედგინება ცენტრს შესამოწმებლად, თავდაპირველ სახელმძღვანელოსთან იდენტურობის დადგენის მიზნით;

2. გამომცემლობა ვალდებულია:

ა) წიგნის გრიფირებიდან 60 დღეში დაბეჭდოს და განათავსოს საკუთარი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს, მინიმუმ, ერთი ეგზემპლარი სამინისტროსა და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების თითოეულ საგანმანათლებლო რესურსცენტრში;

ბ) სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭებიდან ყოველი მომდევნო წლის პირველ მაისამდე მიაწოდოს ცენტრს ინფორმაცია მომავალი სასწავლო წლისათვის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს ბეჭდვის თაობაზე;

გ) დაბეჭდოს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო იმ სახით, რა სახითაც ის იყო გრიფირებული ცენტრის მიერ. სახელმძღვანელოს შინაარსში ან დიზაინში შეიძლება შეტანილ იქნას მხოლოდ კორექტურული ხასიათის ცვლილება. სახელმძღვანელოს გრიფირების მეორე სასწავლო წლიდან გამომცემლობას უფლება აქვს, სახელმძღვანელოს გაუმჯობესების მიზნით, უმნიშვნელოდ ისე შეცვალოს სახელმძღვანელოს შინაარსი, დიზაინი ან/და სტრუქტურა, რომ ძველი რედაქციის გამოყენებაც შესაძლებელი იყოს. ნებისმიერი ასეთი ცვლილება საჭიროებს ცენტრის მხრიდან თანხმობას. სახელმძღვანელოს არსებითი შინაარსობრივი ცვლილების შემთხვევაში, გამომცემლობა ვალდებულია, ხელახლა გაიაროს გრიფირება;

დ) ცენტრის მიერ მითითებულ ვადებში, გრიფირების პროცესის დასრულებამდე, განათავსოს წიგნის ელექტრონული ნიმუშები, ცენტრის მიერ მითითებულ ვებგვერდზე;

ე) მიაწოდოს ცენტრს ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებული წესით შევსებული სახელმძღვანელოს ანკეტა;

ვ) წიგნის გრიფირების შემდგომ პირველ სასწავლო წელს, უზრუნველყოს სახელმძღვანელოს გაყიდვა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ამ წესის დანართით გათვალისწინებულ სახელმძღვანელოს ანკეტაში გამომცემლობის მიერ მითითებული ფასის მიხედვით;

ზ) გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს ყდის მე-2 გვერდზე განათავსოს საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

თ) იხელმძღვანელოს ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ვადებითა და განრიგით;

3. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს გამომცემლობის მიერ იმ სახით დაბეჭდვის შემთხვევაში, რომელიც არსებითად არ შეესაბამება გრიფმინიჭებულ რედაქციას, გამომცემლობა ვალდებულია, ცენტრის მოთხოვნის საფუძველზე, 60 დღის ვადაში, ხელახლა დაბეჭდოს სახელმძღვანელოს გრიფმინიჭებული რედაქცია და უსასყიდლოდ მიაწოდოს შესაბამისი რაოდენობა იმ სკოლებს, რომლებმაც აირჩიეს და რომელთა მოსწავლეებმაც შეიძინეს აღნიშნული სახელმძღვანელო.

მუხლი 6. ცენტრის უფლებები და ვალდებულებები

1. ცენტრი ვალდებულია:

ა) შეაფასოს გამომცემლობის მიერ წარმოდგენილი განაცხადი და წიგნი ობიექტურად, დროულად და მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე;

ბ) ყოველი წლის არაუგვიანეს 1 ივლისისა, სპეციალური კატალოგის ვებგვერდზე გამოქვეყნებისა და მისი CD დისკების სახით სკოლებისათვის მიწოდების გზით, უზრუნველყოს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალის, შეფასებისა და ნიმუშების ხელმისაწვდომობა ყველა სკოლისთვის;

გ) ყოველი წლის 10 ივნისამდე დაამტკიცოს და გამოაქვეყნოს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა;

დ) შეაფასოს წარმოდგენილი წიგნი მხოლოდ ამ წესის დანართით გათვალისწინებული წიგნის შეფასების კრიტერიუმებით, რომლებიც წინასწარ ცნობილია გამომცემლობებისთვის;

ე) გრიფირების პროცესში ყველა გამომცემლობის წიგნი განიხილოს თანასწორობის პრინციპის დაცვით;

ვ) გრიფის მინიჭებისთვის გამომცემლობის მიერ წარმოდგენილი მასალა და ცენტრის შენიშვნები არ გადასცეს მესამე პირს ან არ გამოიყენოს სხვა მიზნებისთვის ამ გამომცემლობის ნებართვის გარეშე;

ზ) არ განიხილოს ერთი გამომცემლობის მიერ წარმოდგენილი შეფასებები სხვა გამომცემლობის მიერ წარმოდგენილი წიგნის შესახებ.

2. გამომცემლობის, ავტორების, დიზაინერების ან სხვა დაინტერესებული პირების მიერ ცენტრის გადაწყვეტილების შესახებ მცდარი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში, ცენტრს უფლება აქვს, გამოაქვეყნოს ექსპერტების შეფასებები, ცენტრის რეკომენდაციები და შენიშვნები და საჯარო გახადოს ის მასალა, რომლის შესახებაც გავრცელდა მცდარი ინფორმაცია;

გაგრძელება მომდევნო გვერდზე

3. ცენტრის თანამშრომელს არ აქვს უფლება, ინფორმაციის საჯაროდ გავრცელების ან სხვა საშუალებების გამოყენების გზით გაახმაუროს გრიფის მისანიჭებლად წარდგენილი წიგნის ან გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს თაობაზე თავისი მოსაზრება ისეთი ფორმით (რეკლამა, კრიტიკა ან სხვ.), რაც ზიანს მიაყენებს ამ ან სხვა წიგნს/სახელმძღვანელოს;

4. წიგნების შეფასებაში მონაწილე ექსპერტებს არ აქვთ უფლება, საკუთარი ან სხვა ექსპერტის შეფასების შესახებ ინფორმაცია გაავრცელონ ცენტრის თანხმობის გარეშე;

5. ცენტრი არ არის ვალდებული, გააცნოს გამომცემლობას კონკრეტული ექსპერტის შეფასება.

მუხლი 7. წიგნის შემფასებელი

1. გრიფის მისანიჭებლად წარდგენილ წიგნს აფასებენ ექსპერტები, რომლებიც წარმოადგენენ მაღალი რეპუტაციის მქონე დარგის აღიარებულ სპეციალისტებს. ექსპერტების შეფასებები (დასკვნები) წარმოადგენენ ცენტრის მიერ წიგნისათვის გრიფის მინიჭებისა და გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის დროს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს;

2. ინფორმაცია გრიფის მისანიჭებლად წარდგენილი კონკრეტული წიგნის შემფასებელი ექსპერტის ვინაობის შესახებ გამომცემლობებს არ მიეწოდება;

3. წიგნისთვის გრიფის მინიჭების შესახებ განაცხადის წარმოდგენასთან ერთად თითოეული გამომცემლობა, უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამისი დასაბუთებით, წერილობით მოითხოვოს მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ნუსხაში შეყვანილი კონკრეტული ექსპერტის აცილება. ცენტრი განიხილავს გამომცემლობის მიერ წარმოდგენილ აცილებას და იღებს გადაწყვეტილებას აცილების დაკმაყოფილების ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. გრიფის ჩამორთმევა

1. ცენტრს უფლება აქვს, სახელმძღვანელოს ჩამოართვას გრიფი, თუ გამომცემლობა არ შესრულებს ამ წესის მე-5 მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით ან მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს მითითებულ ვადაში;

2. გრიფის ჩამორთმევა არ მოხდება, თუ გამომცემლობა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვადებს ვერ დაიცავს ფორსმაჟორული გარემოებების არსებობის გამო, რის თაობაზეც უნდა აცნობოს ცენტრს ფორსმაჟორული გარემოებების წარმოშობისთანავე;

3. გრიფის ჩამორთმევა ხდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

მუხლი 9. გარდამავალი დებულებანი

1. გრიფმინიჭებულად ჩაითვალოს საქართველოს კანონმდებლობის თანახმად გრიფმინიჭებული ყველა სახელმძღვანელო, ამ წესის ძალაში შესვლის შემდეგ კონკრეტული კლასის საგნის, საგნობრივი ჯგუფის ან მიმართულების სახელმძღვანელოსათვის გრიფის მინიჭებამდე;

2. ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული 5-წლიანი ვადა ეხება მხოლოდ 2009-2010 და შემდგომი სასწავლო წლებისთვის გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს.

3. 2009-2010 სასწავლო წლისთვის, ცენტრი 2009 წლის 30 მარტამდე აქვეყნებს სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭებისთვის განაცხადის შემოტანის, საგანმანათლებლო რესურსცენტრებში სახელმძღვანელოების განთავსების, სახელმძღვანელოების ნიმუშების ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნების ვადებსა და ფორმას კონკრეტული კლასის, საგნის, საფეხურის, დონის, საგნობრივი ჯგუფის ან მიმართულებისათვის.

<u>**დანართი**</u>

სახელმძღვანელოს ანკეტა

1. კლასი / საფეხური / დონე	4. ინფორმაცია გამომცემლობის შესახებ
	გამომცემლობა: მისამართი: ტელეფონი: ელ. ფოსტა: ინტერნეტ გვერდი:
2. საგანი/საგნობრივი ჯგუფი	**5. სახელმძღვანელოს ავტორი/ავტორები**
	რედაქტორი: ავტორი/ები: _____
3. სახელმძღვანელოს დასახელება	ადაპტაციის ავტორი თარგმანის შემთხვევაში :

6. სახელმძღვანელოს შემადგენელი სტრუქტურული ნაწილები ა) მასწავლებლის წიგნი ბ) მოსწავლის წიგნი (მოსწავლის რვეულის გარეშე) გ) მოსწავლის რვეული თუ რამოდენიმე ნაწილადაა გამოცემული რომელიმე ზემოთჩამოთვლილი, მიუთითეთ ცალცალკე	გვერდები	წონა	ფასი გრიფირების შემდგომ პირველი სასწავლო წლისთვის

7. ინფორმაცია გამოცემის შესახებ	
ა) გრიფირებული იყო 2005-2009 წლებში და წარმოდგენილია უცვლელად	
ბ) გრიფირებული იყო 2005-2009 წლებში და განახლებულია	
გ) პილოტირებულია	
დ) ორიგინალური	
ე) ადაპტირებული თარგმანი (მიუთითეთ თარგმანის წყარო):	

8. დამატებითი უფასო სერვისები	
ა) მასწავლებელთა მომზადება	
ბ) განვადებით ყიდვის შესაძლებლობა / ფასდაკლება	
გ) წიგნების ტრანსპორტირება სკოლაში	
დ) თვალსაჩინოებები	
ე) უფასო მოსწავლის წიგნი	
ვ) უფასო მასწავლებლის წიგნი	
ზ) ტესტები	
თ) აუდიო /ვიდეო მასალა	
ი) უფასო ელექტრონული რესურსები	
კ) სხვა:	

1. ზოგადი აღწერა

	კრიტერიუმი	**შეფასების გარეშე**		**არ აკმაყოფილებს**	**ნაწილობრივ აკმაყოფილებს**	**უმეტესად აკმაყოფილებს**	**სრულად აკმაყოფილებს**
ა)	სახელმძღვანელო შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის სწავლების მიზნებსა და საგნობრივ პროგრამას.						
ბ)	სახელმძღვანელო ხელს უწყობს მოცემული კლასის/საფეხურის სტანდარტის ყველა მიმართულებით განსაზღვრული შედეგების მიღწევას						
გ)	სახელმძღვანელო შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმაში აღწერილ სწავლებისა და სწავლის ორგანიზების პრინციპებს						
დ)	სახელმძღვანელოს შინაარსი ითვალისწინებს საქართველოს მოსწავლეთა მრავალფეროვნებას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.						
ე)	სახელმძღვანელო უწყობს ხელს არასტერეოტიპული, მრავალმხრივი აზროვნებისა და შეხედულებების განვითარებას მოსწავლეებში						
ვ)	სახელმძღვანელო ხელს უწყობს იმ ღირებულებებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, რომლებიც ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებშია წარმოდგენილი						

2. ინფორმაციის მოწოდების ხარისხი

	კრიტერიუმი	**შეფასების გარეშე**		**არ აკმაყოფილებს**	**ნაწილობრივ აკმაყოფილებს**	**უმეტესად აკმაყოფილებს**	**სრულად აკმაყოფილებს**
ა)	სახელმძღვანელო დაწერილია თანამედროვე და გასაგები სალიტერატურო ენით; არ შეიცავს კორექტურული ხასიათის შეცდომებს						
ბ)	სახელმძღვანელო დაწერილია ასაკისთვის შესაფერისი, ნათელი, გასაგები ენით, არ შეიცავს ზედმეტ ტერმინებსა და ძალიან გრძელ, მძიმე წინადადებებს.						
გ)	სახელმძღვანელოში სასწავლო მასალა არის დაფუძნებული/დაკავშირებული მოსწავლის წინასწარ ცოდნასთან. საკმაო ყურადღება ეთმობა: ახალი საკითხის სათანადო შემზადებას; ნასწავლის გამეორებასა და განმტკიცებას; ახალი საკითხის დაკავშირებას ადრე ნასწავლ საკითხებთან						
დ)	სახელმძღვანელოს შინაარსი შეესაბამება მეცნიერების თანამედროვე მიღწევებს. ტერმინების, ცნებების, მოვლენების, ილუსტრაციების განმარტებები შინაარსობრივად გამართულია; ინფორმაცია, ფაქტები სანდოა და ეყრდნობა უახლეს მონაცემებს						
ე)	სახელმძღვანელო ხელს უწყობს მოსწავლის ეტაპობრივად მისვლას ახალ ცნებამდე, განსაზღვრებამდე, წესებამდე. სახელმძღვანელოში საკვანძო საკითხები მუშავდება აუჩქარებლად, მრავალმხრივად და საფუძვლიანად						
ვ)	სახელმძღვანელოში ინფორმაციის მიწოდების მრავალი საშუალებაა გამოყენებული (ტექსტი, ილუსტრაცია, სქემა, ცხრილი, გრაფიკი და სხვ.)						
ზ)	სახელმძღვანელოში სხვადასხვა სახის ინფორმაციის/სტრუქტურული ელემენტები გამოყოფილია გასაგები პირობითი ნიშნების (ლოგო, შრიფტი და ა.შ.) მეშვეობით						
თ)	სახელმძღვანელოს სხვადასხვა ნაწილში წარმოდგენილი ინფორმაცია შინაარსობრივი და მეთოდური თვალსაზრისით არის ერთმანეთთან დაკავშირებული						
ი)	სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ილუსტრაციები საგანმანათლებლო მნიშვნელობისაა და აღქმადია						
კ)	სახელმძღვანელოს ახლავს გამართული საცნობარო აპარატი (მაგ. სარჩევი, ერთეულების ნუმერაცია, ლექსიკონი, სქოლიო, ბიბლიოგრაფია და სხვ.)						
ლ)	სახელმძღვანელოს შინაარსი (ტექსტი, ილუსტრაცია) თანამედროვეა და გემოვნებითაა შერჩეული						
მ)	სახელმძღვანელოში მოსწავლის ასაკის შესაბამისად არის შერჩეული ტექსტის მოცულობა და შრიფტის ზომა, წინადადებების განლაგება, ილუსტრაციებისა და ტექსტის თანაფარდობა, ცარიელი სივრცე. ილუსტრაციები და შესაბამისი ტექსტი მოთავსებულია ერთ მხედველობით არეში						
ნ)	სახელმძღვანელოს დიზაინი თანმიმდევრულია, სტრუქტურული ელემენტები განმეორებადია						
ო)	სახელმძღვანელოში გამოყენებული ფერები ხელს უწყობს ტექსტის აღქმადობას და სახელმძღვანელოში ორიენტირებას						

3. მოსწავლის გააზრებული მუშაობა

	კრიტერიუმი	**შეფასების გარეშე**		**არ აკმაყოფილებს**	**ნაწილობრივ აკმაყოფილებს**	**უმეტესად აკმაყოფილებს**	**სრულად აკმაყოფილებს**
ა)	სახელმძღვანელო ხელს უწყობს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას						
ბ)	სახელმძღვანელო ხელს უწყობს აქტიურ სწავლას (სწავლას აღმოჩენით, კეთებით, თანამშრომლობით, კვლევით და სხვ.)						
გ)	სახელმძღვანელო ხელს უწყობს პრობლემის გადაჭრის უნარ-ჩვევების განვითარებისა და რეალურ ცხოვრებაში მათი გამოყენების შესაძლებლობის გაზრდას						
დ)	სახელმძღვანელოში მოცემული სავარჯიშოები მოსწავლეს საშუალებას აძლევს, მიიღოს მრავალფეროვანი საგანმანათლებლო გამოცდილება (შეასრულოს დავალება, რომელიც არა მხოლოდ წერასა და კითხვას გულისხმობს)						
ე)	სახელმძღვანელო ხელს უწყობს გაკვეთილზე ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის წარმართვას, მსჯელობას და დასკვნების გამოტანას						
ვ)	სახელმძღვანელო ხელს უწყობს ინფორმაციის სხვადასხვა გზით მოპოვების, ორგანიზების, შეფასებისა და ინტერპრეტირების უნარ-ჩვევების განვითარებას						
ზ)	სახელმძღვანელოში მოცემული აქტივობები ითვალისწინებს ცოდნის ათვისების სამივე ფაზას: წვდომა, გავარჯიშება, დაუფლება						
თ)	სახელმძღვანელოში ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად ყურადღება ექცევა უნარ-ჩვევების განვითარებას, ღირებულებების/დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას						
ი)	სახელმძღვანელო ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ორგანიზებას (განსაზღვრავს დავალების შესრულების დროსა და ეტაპებს, მასწავლებელს ეხმარება ინსტრუქციების მიცემაში, მოსწავლეებს - აქტივობებში ორგანიზებულად მონაწილეობაში და სხვ.)						
კ)	სახელმძღვანელოში მოცემული დავალებების, სავარჯიშოებისა და პროექტების შესრულება შესაძლებელია გაკვეთილზე ან/და მისი დამთავრების შემდეგაც საშინაო დავალების სახით						

4. მოსწავლეთა მოტივაცია

	კრიტერიუმი	შეფასების გარეშე		არ აკმაყოფილებს	ნაწილობრივ აკმაყოფილებს	უმეტესად აკმაყოფილებს	სრულად აკმაყოფილებს
ა)	სახელმძღვანელოს შინაარსი (ტექსტი, ილუსტრაცია, სავარჯიშოები) მოსწავლეებისთვის საინტერესოა და ითვალისწინებს მათ ასაკს						
ბ)	სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტები და/ან სავარჯიშოები სხვადასხვა სირთულისაა და ითვალისწინებს მოსწავლეების სწავლის სტილის მრავალფეროვნებას						
გ)	სახელმძღვანელო ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართვას სასწავლო პროცესში, მრავალფეროვანი ფორმატის (ინდივიდუალური და ჯგუფური), შინაარსისა და მიზნების მქონე აქტივობების გზით						
დ)	სახელმძღვანელო ხელს უწყობს მოსწავლის ცნობისმოყვარეობის გაზრდას, უბიძგებს მას მეტი მუშაობისკენ, კონცეფციების, მოვლენების შესახებ ცოდნის შეძენისაკენ და თვითგანვითარებისკენ						
ე)	სახელმძღვანელო ხელს უწყობს ვიქტორინების, შეჯიბრებების, გამოფენების, კონცერტების, წარმოდგენების, პრეზენტაციების, ჩატარების ორგანიზებას						

5. უკუკავშირი

	კრიტერიუმი	შეფასების გარეშე		არ აკმაყოფილებს	ნაწილობრივ აკმაყოფილებს	უმეტესად აკმაყოფილებს	სრულად აკმაყოფილებს
ა)	სახელმძღვანელო ხელს უწყობს სასწავლო პროცესში შეფასების მრავალი ფორმის (შეფასების ცხრილები, ტესტები, გამოფენები, პრეზენტაციები, წარმოდგენები და სხვ.)გამოყენებას						
ბ)	სახელმძღვანელო საშუალებას აძლევს მოსწავლეს, შეაფასოს საკუთარი ცოდნა						
გ)	სახელმძღვანელო ეხმარება მასწავლებელს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების გამოყენებაში						
დ)	სახელმძღვანელო წინასწარი, მიმდინარე და შემაჯამებელი (მათ შორის, შუალედური შემაჯამებელი) შეფასებების საშუალებას იძლევა						

6. მასწავლებლის წიგნი

	კრიტერიუმი	**შეფასების გარეშე**		**არ აკმაყოფილებს**	**ნაწილობრივ აკმაყოფილებს**	**უმეტესად აკმაყოფილებს**	**სრულად აკმაყოფილებს**
ა)	მასწავლებლის წიგნი სრულია - მოიცავს ყველა ტიპიური გაკვეთილის, აქტივობისა თუ სავარჯიშოს მეშვეობით სწავლების რეკომენდაციას, ინსტრუქციას, მითითებას						
ბ)	მასწავლებლის წიგნი ეხმარება მასწავლებელს საგნისა და საგნობრივი მეთოდიკის მიმართულებით საკუთარი შესაძლებლობების სრულყოფაში						
გ)	მასწავლებლის წიგნი მასწავლებელს აძლევს მიმართულებას მოსწავლის სახელმძღვანელოს გამოყენებაში ან/და სასწავლო პროცესის ორგანიზებაში						
დ)	მასწავლებლის წიგნში შეთავაზებული მეთოდიკა კავშირშია მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში აღწერილ მასწავლებელთა საგნობრივ კომპეტენციებთან						
ე)	მასწავლებლის წიგნში ნათლად არის ახსნილი, ეროვნული სასწავლო გეგმის რომელ ნაწილსა და მიმართულებებს ფარავს სახელმძღვანელო (მოსწავლის და/ან მასწავლებლის)						
ვ)	მასწავლებლის წიგნი შეიცავს მითითებებს იმის შესახებ, თუ რა სასარგებლო, დამატებითი რესურსების გამოყენება შეუძლია მასწავლებელს სასწავლო პროცესში						
ზ)	მასწავლებლის წიგნი ეხმარება მასწავლებელს სხვადასხვა სტრატეგიის, ტექნიკის, დიდაქტიკური ხერხისა თუ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიის გამოყენებაში						
თ)	მასწავლებლის წიგნში მოცემულია პასუხები მოსწავლეთათვის განკუთვნილ კითხვებზე, სავარჯიშოებზე, ტესტებსა თუ საკონტროლოებზე,						
ი)	მასწავლებლის წიგნში მოცემულია ტიპობრივი გაკვეთილების სცენარების ნიმუშები						
კ)	მასწავლებლის წიგნში შემოთავაზებულია, თუ როგორ შეიძლება სხვადასხვა საჭიროებისა და/ან შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისთვის სწავლების პროცესის დიფერენცირება (მორგება), შეფასება, ჩამორჩენების აღდგენა						
ლ)	მასწავლებლის წიგნში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მიზნები და მოსალოდნელი შედეგები სახელმძღვანელოს თითოეული კომპონენტისათვის (თავი, პროექტი, სხვა სტრუქტურული ერთეული)						

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს პროექტი დევნილი აბიტურიენტების დასახმარებლად წელსაც ამოქმედდა

2007 წლის მარტიდან, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, ზუგდიდში, კონფლიქტის ზონის აბიტურიენტების დასახმარებლად, უფასო მოსამზადებელი კურსები გახსნა, რომელიც დღესაც ემსახურება მათ მომზადებას ყველა სავალდებულო საგანში ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის. შარშან კურსებზე 80 აბიტურიენტი სწავლობდა, წელს კი – 60. მეცადინეობა მიმდინარეობს კვირაში 2 დღე: შაბათი და კვირა. შარშან 3 დღე ტარდებოდა, მაგრამ წელს მშობლებმა და აბიტურიენტებმა 2 დღე მოისურვეს, რადგან მეთორმეტეკლასელები პარასკეობით სკოლას ვერ აცდენენ. თანაც გასათვალისწინებელია, რომ ისინი გალის რაიონიდან ხშირად სიცოცხლის რისკის ფასად გადმოდიან ცოდნის მისაღებად, რათა მაქსიმალურად მოემზადონ და სხვა თანატოლებთან ერთად მონანილეობა მიიღონ ერთიან ეროვნულ გამოცდებში. დევნილ აბიტურიენტებს ზუგდიდში მასპინძლობას აფხაზეთის №1 საჯარო სკოლა უწევს. მეცადინეობების დროის ხანგრძლივობა დღეში 6 საათს შეადგენს, ახალგაზრდები დაყოფილნი არიან 2 ჯგუფად.

პროექტის სულისჩამდგმელია განათლების ტერიტორიული წარმომადგენლობისა და საინფორმაციო მართვის სამმართველოს უფროსი **მანანა ქვაჩახია**. სწორედ მან შეარჩია აფხაზეთიდან დევნილი კვალიფიციური კადრები. პედაგოგებად მიწვეულნი არიან: **ირინე ჯიჯელავა**, ასოცირებული პროფესორი (მშობლიური ენა და ლიტერატურა), **ლუიზა შონია** (მათემატიკა), **ლიანა თორია** (რუსული ენა და ლიტერატურა), **დავით შამუგია** (ზოგადი უნარები). პედაგოგები კონფლიქტის ზონის მოსწავლეებს დიდ სითბოსა და სიყვარულს უნერგავენ, რადგან კარგად იციან, თუ რაოდენ ძნელია დევნილი მასწავლებლისა და მოსწავლის ხვედრი. ამით მათ მცირეოდენი წვლილი შეაქვთ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საქმეში, აბიტურიენტებს არა მარტო საგნებს ასწავლიან, არამედ აფხაზი და ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის ისტორიასაც.

გალელ აბიტურიენტებს, **მანანა ქვაჩახიას** დახმარებით, უფასოდ გადაეცათ სავალდებულო და არჩევითი საგნების ტესტების კრებულები.

რა თქმა უნდა, გამორჩეული აღნიშვნის ღირსია აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის, ბატონ **ალექსანდრე აპლაკოვის** სრული მხარდაჭერა აღნიშნული პროექტისადმი. გალელი აბიტურიენტები მის სითბოს, სიყვარულს, დახმარებას, ყურადღებას და მზრუნველობას ყოველ ნაბიჯზე გრძნობენ.

ასმათ შამუგია

მანანა ქვაჩახია

ალექსანდრე აპლაკოვი

ზუგდიდში აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსების პედაგოგები

P.S. *აღსანიშნავია, რომ გასული წლების მონაცემებისა და შედეგების მიხედვით, მოსამზადებელი კურსები ძალიან ეფექტიანი გამოდგა. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ ყოველ შაბათ-კვირას აფხაზეთის №1 საჯარო სკოლაში მოდიან შარშანდელი კურსდამთავრებულები (უკვე სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხული სტუდენტები). ისინი კმაყოფილებას და მადლიერებას გამოთქვამენ პედაგოგების, პროექტის მხარდამჭერების, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიმართ. წლევანდელ აბიტურიენტებს კი წარმატებებს და მათი ბედის გაზიარებას უსურვებენ. დევნილი პედაგოგებისა და აბიტურიენტების სანუკვარ ოცნებად, ისევ და ისევ, მშობლიურ აფხაზეთში დაბრუნება რჩება.*

ცოდნის კვირეული

სწავლების ხარისხი დიდად არის დამოკიდებული სკოლის ადამიანურ და მატერიალურ რესურსზე, სწორ სტრატეგიაზე. სწორედ ამ კუთხით მიმდინარეობს მუშაობა ვერტყვიჭალის საშუალო სკოლაში, სადაც 204 მოსწავლის აღზრდას 25 პროფესიონალი პედაგოგი ემსახურება. თითქმის ყველა პედაგოგმა აიმაღლა კვალიფიკაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების ტრენინგების მეშვეობით; მოვიგეთ რამდენიმე საგრანტო და საპილოტე პროექტი; მივიღეთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოყოფილი სასკოლო ინვენტარი, უძვირფასესი ვიდეო მასალები კომპიუტერული კლასისათვის. სწორედ ასეთმა გარემომ, მასწავლებელთა და მშობელთა კარგმა ურთიერთობამ გადამაწყვეტინა, დამეგეგმა რაიონული მასშტაბის ღონისძიება „ცოდნის კვირეული“. კვირეულის მიზანი რაიონის სკოლებს შორის ურთიერთთანამშრომლობა, სწავლების თანამედროვე მეთოდების განზოგადება, არსებული პრობლემების გადაჭრის გზების ძიება იყო.

ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა, ყველა რესპუბლიკური ღონისძიების მონაწილეა. ჩვენს მოსწავლეებს მიღებული აქვთ სხვადასხვა ხარისხის დიპლომები, ფასიანი საჩუქრები, აქტიური მონაწილეობა მივიღეთ საგნობრივ ოლიმპიადაში. დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდეთ „საოკუპაციო კვირეულის“ მოწყობას. მთელი კვირა, 16-25 თებერვალი, საინტერესო ღონისძიებებით იყო დატვირთული. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოსწავლეთა მონაწილეობით გადაღებული ვიდეოფილმი „დანგრეული ბუდეები“, რომელშიც ასახულია შიდა ქართლის სოფლებში – კარალეთში, მარანასა და კარბში შექმნილი მძიმე მდგომარეობა.

ცოდნის კვირეული კი ასე დავგეგმეთ: შევავდგინეთ კვირეულის ღონისძიებათა გეგმა, შევათანხმეთ საგანმანათლებლო რესურსცენტრთან (ხელმძღვანელი **გიორგი არევაძე**) და დავურიგეთ ყველა საჯარო სკოლას. მასში აქტიურად ჩაერთვნენ: ხევის, ნადაბურის, ხუნევის, ვაშლევის, უბისის, ღორეშის, ბორთის, დაშის, ხიდრის, ლეღვნის, საღანძილის საჯარო სკოლები, რისთვისაც მადლობას ვუხდი დირექტორებს: **ზურაბ გოგოლაძეს, დოდო ხაჩიძეს, ელგუჯა გელაშვილს, ქეთევან ლურსმანაშვილს, ალექსანდრე ბარბაქაძეს, მარინა სახვაძეს, ეთერ პაპავას, ნანა აბესაძეს, თამარ ტაბატაძეს, ვარდო ჭიპაშვილს**.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ხარაგაულის ადმინისტრაციას ვერტყვიჭალის საჯარო სკოლასთან საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს. კვირეულის პირველ დღეს (23-27 მარტი) პარკის წარმომადგენლები მეთორმეტე კლასში ღია გაკვეთილს დაესწრნენ, რომელიც „გლობალური პრობლემების“ მასწავლებელმა **თემურ ბლუაშვილმა** ჩაატარა. „მდგრადი განვითარება“ – ასეთი იყო გაკვეთილის თემა. მასში აქტიური მონაწილეობა მიიღეს პარკის წარმომადგენლებმა: **მანანა ტაბატაძემ** და **ჯამა ლომსაძემ**. მათ სკოლას საინტერესო ლიტერატურა, რუკები და ბუკლეტები გადასცეს: როგორ მივაღწიოთ ეკონომიკურ და სოციალურ წინსვლას ისე, რომ რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მივაყენოთ ბუნებას – ეს იდეა გასდევდა ღია გაკვეთილს.

კვირეულის განმავლობაში საინტერესო ღია გაკვეთილები ჩაატარეს მეათე კლასში **დარეჯან ოკრიბელაშვილმა** და **მარიკა გოგოლაძემ**; ბიოლოგიასა და ფიზიკაში – **ლელა სამხარაძემ** და **ზაირა ხაჩიძემ**; მეშვიდე და მეექვსე კლასებში – ქართულ ენასა და ლიტერატურაში; მეთორმეტეკლასელებთან – **დოდო ლილუაშვილმა** მათემატიკაში.

სკოლის დერეფანში ხელოვნების კათედრის (ხელმძღვანელი **გულნაზ აბრამიშვილი**) ორგანიზებით მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. კვირეულის პირველი დღე პედაგოგების: **მანანა ლომიძისა** და **გულნაზ აბრამიშვილის** მომზადებულმა მხატვრულმა ღონისძიებამ „გვმოძღვრავენ ნოდარ დუმბაძის გმირები“ – დააგვირგვინა.

მეორე დღე მთლიანად დაწყებით კლასებს დაეთმო. საინტერესოდ მომზადებული გაკვეთილები წარუდგინეს მონვეულ სტუმრებს პედაგოგებმა: **მზია გიგაურმა, ლეილა ბარბაქაძემ, მზია ტაბატაძემ, ნათელა ბურჯანაძემ.**

მესამე დღეს სკოლის „ბატონ-პატრონები“ მოსწავლეები იყვნენ. სკოლას მართვდნენ მოსწავლე-დირექტორი **თამილა ბლიაძე**, სასწავლო ნაწილის გამგე – **ბექა ბლიაძე**, მოსწავლე მასწავლებელები: **თამარ ლომიძე, ნინო ტლაშაძე, ნინო ხარაიშვილი, გულიკო გოგოლაძე, გიორგი ლომიძე, ვახტანგ აბაშიძე**. სასწავლო დღის ბოლოს „დირექტორმა“ თათბირი ჩაატარა. XI კლასის „ხელმძღვანელმა“ **თინიკო მაჭავარიანმა** მასწავლებლებს ასე მიმართა: თქვენ თუ ყოველთვის ასეთ დღეში ხართ, ცოცხლები როგორღა დარჩითო.

იმავე დღეს გაიმართა ინტელექტუალური თამაში „ყველაზე ჭკვიანი“, გაიმარჯვა XII კლასელმა **გიორგი ლომიძემ**.

26 მარტი ვერტყვიჭალელმა მოსწავლეებმა უცხო ენების ცოდნის გამოვლინებასა და სპორტულ ღონისძიებებს დაუთმეს. „ჩვენ ვსწავლობთ უცხო ენას“ – ასე უწოდეს ღონისძიებებს გერმანული, რუსული და ინგლისური ენების მასწავლებლებმა – **ნარგიზა ხაჩიძემ, ნადეჟდა მუმლაძემ** და **ეკა ახალკაცმა**. მოსწავლეების მიერ შესრულებულმა უცხოურმა სიმღერებმა, მომზადებულმა მუსიკის მასწავლებლის, გულნაზი აბრამიშვილის მიერ, საყოველთაო მონონება დაიმსახურა. იმავე დღეს პედაგოგ **ნუგზარ კაპანაძის** ხელმძღვანელობით, რაიონის სპორტსკოლასთან ერთად, „მხიარული სტარტები“ ჩატარდა. სპორტულ შეჯიბრებებში პედაგოგებიც ჩაერთნენ, დაძაბული გამოდგა ვერტყვიჭალელ და ლეღვნელ პედაგოგთა შეხვედრა ფრენბურთში.

კვირეულის ბოლო დღე „კლასის საათს“ დაეთმო, რომელიც ნარკოტიკის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლას მიეძღვნა. მოსწავლეები საღად მსჯელობდნენ ამ საშინელი სნეულებების აღმოფხვრის შესახებ. „კლასის საათში“ აქტიური მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულის პოლიციის თანამშრომლებმა.

ჩვენს სკოლაში 14 უნარშეზღუდული ბავშვი სწავლობს. პედაგოგ **ალექსანდრე ჭიპაშვილის** ხელმძღვანელობით, დამუშავდა პროექტი ინკლუზიური სწავლების შესახებ, რომელიც სამინისტროს წარედგინა. პროექტით დაინტერესდნენ კიდეც და ამ მიმართულებით ხელშეწყობას ველოდებით, მაგრამ მთავარი ისაა, რომ კვირეულის დღეებში აღნიშნული 14 ბავშვი თავს გარიყულად არ გრძნობდა.

კვირეული დასრულდა. ბუნებრივია, კიდევ ბევრი საინტერესო ღონისძიების ჩატარებას ვგეგმავთ მომავალში. სკოლას შესანიშნავი სპორტული დარბაზი აქვს, გვინდა, ჩვენი სკოლის გუნდი სატელევიზიო გადაცემა „მხიარულ სტარტებში“ მოხვდეს. იქნებ თქვენი გაზეთის მეშვეობით გადაცემის მესვეურებამდე მივიტანოთ ჩვენი მოსწავლეების სურვილი.

ასევე მაისში ვგეგმავთ თანამშრომლობის გაფორმებას თბილისის 24-ე საჯარო სკოლასთან; მეთერთმეტე კლასელთა დიდი სურვილია თბილისის 23-ე სკოლასთან დამეგობრება. იმედია, ეს თანამშრომლობა შედგება, რაც უთუოდ წაადგება ჩვენი მოსწავლეების სწავლა-აღზრდის საქმეს. მეამაყება, რომ სკოლის შესანიშნავი პედკოლექტივი წარმატებით ართმევს თავს მასზე დაკისრებულ ამოცანას, მაგრამ მთავარი ხელშემწყობი პირობა სკოლის მატერიალური ბაზის გაუმჯობესებაა, რომლის გადაწყვეტა დამოუკიდებლად შეუძლებელია. ჩვენი სკოლის შენობა, რომელიც 1987 წელს აშენდა, ტიპურია და 300 მოსწავლეზეა გათვალისწინებული. ოთხსართულიანი სკოლის სარდაფი, როგორც თავშესაფარი 2000 ადამიანზეა გათვლილი. მისი რემონტი და კეთილმოწყობა სკოლას გადაუჭრიდა სასადილოსა და სხდომათა დარბაზის პრობლემას. გარდა ამისა შენობა საჭიროებს დერეფნებისა და სასკოლო ოთახების კაპიტალურ შეკეთებას, სანიტარული კვანძების მოწესრიგებას, ეზოს შემოღობვას.

მხოლოდ საკუთარი ძალებით ეს პრობლემები ვერ გადაიჭრება. ამიტომ ვთხოვთ განათლების სამინისტროს დაგვეხმაროს ამ საკითხების მოგვარებაში.

ლენა აბაშიძე
ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის დირექტორი

მეთოდიკა

ცდები სახალისო ქიმიიდან

ამ სტატიას ვუძღვნი ქალბატონ **ელენე ნანობაშვილის** ხსოვნას. სახალისო ცდა, რომელიც დღეს მინდა შემოგთავაზოთ, მისგან ვისწავლე. ქალბატონი ელენე იყო ყოფილი პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი, ქიმიის ფაკულტეტის კათედრის გამგე, უამრავი სამეცნიერო და პედაგოგიური ლიტერატურის ავტორი და საერთოდ, უანგარო გულის, უზღვავი ენერგიის, გასაოცარი შრომისუნარიანობის მქონე ადამიანი.

ერთხელ მასთან ინსტიტუტში ჩემი ქიმიის წრის მოსწავლეები მივიყვანე და ვთხოვე: *„ჩემს მოსწავლეებს თანამედროვე ნამდვილი ქიმიური ლაბორატორია მინდა ვაჩვენო და თუ შეიძლება თქვენს საპრეპარატოროებსა და ლაბორატორიებს დავათვალიერებინებ-მეთქი“*. ქალბატონმა ელენემ ერთი ასპირანტი გამოგვაყოლა, რომელმაც ყველაფერი აჩვენა ბავშვებს.

შემდეგ ქალბატონ ელენე ნანობაშვილს მორიდებით ვკითხე: *„რაში შეგიძლიათ დამეხმაროთ, რომ ჩემი მოსწავლეები ქიმიით მეტად დავაინტერესო“*. ქალბატონ ელენეს თურმე უკვე მოსწონებია ჩემი ბავშვები და თვითონვე შემოგვთავაზა: თითოეულ მოსწავლეს მიუჩენდა თითო სტუდენტს ან ასპირანტს, კვირაში ერთხელ ვივლიდით ინსტიტუტში და განსაზღვრული პროგრამით ამუშავებდა ამ ბავშვებს... წლის ბოლომდე ქიმიის წრის რამდენიმე წევრმა ამ პროგრამით იმუშავა და ძალიან კმაყოფილები იყვნენ: თვითონაც, მათი მშობლებიც და ქალბატონი ელენეც... იმ მოსწავლეებიდან ზოგიერთი მათგანი დღეს ქიმიკოსია.

ჩემი თაყვანისცემა ამ ადამიანისადმი უსაზღვროა. იგი მოსახლეობისთვისაც არ იშურებდა ძალ-ღონესა და დროს და ქალაქის სხვადასხვა აუდიტორიებში ატარებდა პოპულარულ-შემეცნებით ლექციებს. ასე მოვხვდი ერთ-ერთ მის ლექციაზე ყოფილ „კიროვის ბაღის“ კინოთეატრის დარბაზში. იგი ყვებოდა, თუ როგორ უნდა დაიცვას თავი ადამიანმა მოწამვლისა ან სხვა რაიმე არასასურველი მოვლენისაგან მის გარშემო არსებული უამრავი ქიმიური ნაწარმის მოხმარების დროს. მისი მიზანი იყო მოსახლეობისათვის ესწავლებინა ქიმიის ის ელემენტარული უნარ-ჩვევები, რომელიც ასე საჭიროა ყველასათვის.

ლექცია ძალიან ცოცხალი, ხალისიანი და საინტერესო იყო. უამრავი შეკითხვა დასვეს მსმენელებმა. ქალბატონი ელენე დაუღალავად პასუხობდა ყველას. ბოლოს აუდიტორიას შესთავაზა სახალისო ცდები ქიმიიდან. მათ შორის იყო დღევანდელი ჩემი „ფარაონის გველები“.

„ფარაონის გველები“

ორ ქიმიურ ჭიქაში ცალ-ცალკე ცივი წყლით დაამზადეთ კალიუმის როდანიდისა (KCNS) და ვერცხლისწყლის (II) ქლორიდის ($HgCl_2$) 50 მლ. ნაჯერი ხსნარები.

ერთი ხსნარი მეორეში ულუფებით ასხით და მინის წკირით ურიეთ. გამოილექება ვერცხლისწყლის როდანიდის თეთრი ფერის ნალექი $Hg(CNS)_2$

ხსნარი გაფილტრეთ. ნალექი ფილტრის ქაღალდიანად დადეთ ჩრდილში გასაშრობად. მზეზე გაშრობა არ შეიძლება, ვინაიდან ნალექი ზემოდან მოხმება და თანაბრად არ გამოშრება. ეს კი წვას ხელს შეუშლის.

როცა ნალექი ისე შეშრება, რომ შესაძლებელი გახდება რაიმეს გამოძერწვა მას მიეცით ჯოხის ფორმა.

გამოკითხვა

რას ფიქრობენ მეთორმეტეკლასელები

სახელმძღვანელოების, ეროვნული გამოცდების, რეპეტიტორობის და თორმეტწლიანი სწავლების შესახებ

ლანჩხუთის №3 საჯარო სკოლა

გოდერძი ქურიძე:
ჩემი აზრით, XII კლასის შემოღება სკოლებში სრულიად ზედმეტი იყო. XII კლასმა, პირადად მე, არაფერი შემმატა, მხოლოდ ერთი წლით გამიხანგრძლივა კლასელებთან ახლო ურთიერთობა.

მიუხედავად იმისა, რომ XII კლასის პროგრამა ძალიან საინტერესოა, ის ძალიან დაშორებულია ეროვნული გამოცდების მისაღებ პროგრამას და ამის გამო მოსწავლეები დადიან რეპეტიტორებთან, რაც ფინანსებთან არის დაკავშირებული. რეპეტიტორებთან სიარულის გამო, მოსწავლეები ხშირად აცდენენ გაკვეთილებს და საფუძვლიანად ვერ სწავლობენ XII კლასის პროგრამას.

ჩემი თანაკლასელები 18-ის, ზოგი კი 19-საც არიან, რაც ხელს უწყობს გაცდენებს.

ჩემი აზრით, ასეთ ასაკში სკოლაში სიარული შეუფერებელია. ასე რომ, XII კლასი გაუმართლებლად მიმაჩნია.

თორნიკე ტიკაძე:
ძალიან მომწონს XII კლასის ისტორიისა და ქართულის სახელმძღვანელოები. ქართულის წიგნში ბევრი თანამედროვე მწერლის ნაშრომია თავმოყრილი, ეს ხელს უწყობს მოსწავლეებს, გაეცნონ თანამედროვე ლიტერატურას, ისწავლონ თანამედროვე ისტორია და ა.შ.

ისტორიის სახელმძღვანელო ძალიან კარგად აღწერს თანამედროვე ისტორიას. ჩვენ საშუალება გვეძლევა გავიგოთ, თუ რა მოხდა სინამდვილეში.

მართალია, სახელმძღვანელოები მომწონს, მაგრამ მირჩევნია სწავლა XI კლასით დასრულდეს. ვთვლი, რომ მეთერთმეტეკლასელები მზად არიან, ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდები.

ნატალია ლანჩავა:
ჩემი აზრით, განათლების სამინისტროს მიერ დამატებული კიდევ ერთი წელი ზედმეტი იყო ჩვენთვის. ამ ერთმა წელმა ბევრი არაფერი შემატა ჩვენი განათლების დონეს. თერთმეტი წელი საკმარისი იყო იმისთვის, რომ საშუალო განათლება მიგვეღო და ვისაც სურვილი ჰქონდა, პროფესიული სწავლების განხრითაც გაეგრძელებინა სწავლა. მართალია წლევანდელი სასწავლო პროგრამა კარგად არის შედგენილი, მაგრამ ეს პროგრამა არ შედის საგამოცდო პროგრამაში, შესაბამისად, წინა წლებთან შედარებით, ნაკლებად გავეცანით მას.

რაც შეეხება რეპეტიტორებს, იძულებული ვართ, მათთან ვიაროთ, რადგან საგამოცდო პროგრამაში იმდენი პროგრამული ნაწარმოებია შესული, რეპეტიტორთან სიარულის გარეშე მათი შესწავლა გაგვიძნელდება.

თენგიზ ებრალიძე:
ვფიქრობ, XII კლასის შემოღება პოზიტიურია. ჩვენ უფრო მეტს ვსწავლობთ. განსაკუთრებით მომწონს ქართულისა და მათემატიკის სახელმძღვანელოები, თუმცა ქართულის წიგნიდან მხოლოდ რამდენიმეა შეტანილი ეროვნული გამოცდების პროგრამაში. თუ ბევრ სხვა ნაწარმოებსაც შეიტანენ, უკეთესი იქნება.

ჩემი აზრით, მეთორმეტეკლასდამთავრებულები გამოცდებს უკეთესად ჩააბარებენ, ვიდრე თერთმეტკლასდამთავრებულები. ამერიკაში 12-წლიანი სწავლაა, ხოლო გერმანიაში 13. თუ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შეძლებს, მისი სტანდარტები მიუახლოვოს ევროპულს, ეს კარგი იქნება.

ანა მგელაძე:
ჩემი აზრით, XII კლასი არცთუ ისე შედეგიანი გამოდგა ჩვენთვის, 11 წელი სავსებით საკმარისია, რომ ბავშვმა საშუალო განათლება მიიღოს. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ძალიან კარგი და საინტერესოა, დროის უკმარისობის გამო, საშუალება არ მოგვეცა, საფუძვლიანად შეგვესწავლა თითოეული ნაწარმოები, რადგან საგამოცდო პროგრამაში ძალიან ცოტაა XII კლასის პროგრამული მასალა. რაც შეეხება ჩემს აზრს რეპეტიტორებთან დაკავშირებით, პირობებიდან გამომდინარე, იძულებული ვართ, მათთან ვიაროთ და შევისწავლოთ მასალა, რომელიც ეროვნული გამოცდების პროგრამაშია. ისინი ამ პროგრამის საფუძვლიანად შესწავლაში გვეხმარებიან, რათა შევძლოთ სწავლა გავაგრძელოთ პროფესიული განხრით.

მარი მიქელაძე:
ჩემი აზრით, XII კლასის დაწესება არ იყო სწორი გადაწყვეტილება. ამ წელმა ჩემს ცოდნას დიდად არაფერი შემატა. ფაქტობრივად, ეს ერთი წელი ტყუილად დროის კარგვა იყო. მართალია, სახელმძღვანელოში ბევრი საინტერესო ნაწარმოებია, მაგრამ ბევრი მათგანი პროგრამული არ არის და ჩვენ გვიწევს რეპეტიტორებთან სიარული. არ გვაქვს იმის დრო, არაპროგრამული მასალა შევისწავლოთ. ჩემი აზრით, თერთმეტი კლასიც საკმარისი იყო იმისთვის, რომ საკმარისი ცოდნა მიგვეღო. ალბათ, ყველა დამეთანხმება იმაში, რომ XII კლასი ზედმეტია ჩვენთვის.

ზაურ ფირცხალაიშვილი:
ჩემი აზრით, სახელმწიფო საჯარო სკოლებში XII სასწავლო კლასის დამატება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წინ გადადგმული ნაბიჯია. ეს ხელს შეუწყობს ქართული განათლების სისტემის დაახლოებას დასავლურ მოდელთან. მოსწავლეებს ბევრი დრო ექნებათ გადაწყვიტონ, როგორ სურთ განაგონ მომავალი ცხოვრება. ვფიქრობ, XII კლასი მოსწავლეებისათვის განსაკუთრებული თავისებურებებით უნდა გამოირჩეოდეს, დასახვეწია სახელმძღვანელოები, რომლითაც ვსწავლობთ.

XII-კლასელები მაქსიმალურად უნდა იყვნენ მომზადებულნი საუნივერსიტეტო ცხოვრებისათვის. უნდა ჩატარდეს ლექციები, ტრენინგები. მოსწავლეთა ინფორმირება საინტერესო საკითხებზე მასწავლებლების და დირექტორის მიერ უნდა ხდებოდეს. უკეთესი იქნება, თუ აბიტურიენტი, რომელიც სკოლას წარჩინებით დაამთავრებს, პრივილეგიებით ისარგებლებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე და უმაღლეს სასწავლებლებში.

ყველა მოსწავლეს უნდა ჰქონდეს საგნების არჩევის უფლება.

ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამა არ შეესაბამება სასკოლოს, ამიტომ მოსწავლეთა უმეტესობა რეპეტიტორებთან დადის. ამ მიზეზით ხშირია გაცდენები.

2007-2008 სასწავლო წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ვისწავლე. იქაური სკოლა რადიკალურად განსხვავდება აქაურისგან. მასწავლებლებს მოსწავლეთა კონტროლის რეალური ბერკეტები აქვთ. კარგა ხანია იქ XII კლასია. ეს ყველასგან გამორჩეული და პრივილიგირებული კლასია მთელ სკოლაში. სკოლას არ აქვს ფინანსური და სხვა სახის პრობლემები. ვისურვებდი, ამ სიახლემ საქართველოშიც გაამართლოს.

ხათუნა ფირცხალაიშვილი:
ჩემი აზრით, ჩვენთვის კიდევ ერთი წლის დამატება ზედმეტი იყო. ამ წელმა თითქმის არაფერი შეგვმატა. მართალია, სასწავლო პროგრამა კარგი შედგენილი იყო, მაგრამ ბევრი არაპროგრამული მასალა იყო, რომელიც საგამოცდო პროგრამაში არ არის. მისი საფუძვლიანად შესწავლა ვერ მოვახერხეთ და სწორედ ამ მიზეზის გამო, გვიწევს რეპეტიტორებთან მომზადება. გამოცდებზე უამრავი ისეთი ნაწარმოებია შესული, რაც ნასწავლი არ გვაქვს და რეპეტიტორის გარეშე ვერც ვისწავლიდით. ამ მიზეზთა გამო, XII კლასი არ მიმაჩნია საჭიროდ. 11 წელი სავსებით საკმარისი იყო, რომ ცოდნა შეგვეძინა და უმაღლესში ჩასაბარებლად მოვმზადებულიყავით.

მეთოდიკა

დაახლოებით შუათანა თითის ზომის ჯოხი გამოვა. გააგრძელეთ გაშრობა. ნალექი გამოაშრეთ კარგად, გახმობამდე. გაშრობას შეიძლება რამდენიმე დღეც დასჭირდეს.

მიღებული Hg(CNS)-ის რაოდენობა რამდენიმე (4-5) ცდისთვისაა გამიზნული. ამიტომ მის შენახვაზეც უნდა იზრუნოთ.

ცდის ჩასატარებლად ჯოხს მეოთხედი ნაწილი ჩამოატეხეთ და სასაგნე მინაზე დადეთ. ნატეხს ანთებული ასანთი ან კვარი შეახეთ. თეთრი ნატეხიდან თანდათან ამოიზრდება „გველი“. წვის დამთავრებამდე „გველი“ იზრდება, იცვლის ფერს, ფორმასა და ზომას. წვის დამთავრების შემდეგ „გველი“ წყვეტს მოძრაობას და ერთ პოზაში გაშეშდება. სათანადო რეაქციების ქიმიური განტოლებებია:

$$2KCNS+HgCl_2=Hg(CNS)_2...+2KCl$$

$$2Hg(CNS)_2+9O_2=2HgO+4CO_2+2N_2+4SO_2.$$

როგორც ხედავთ, რეაქციის შედეგად ბევრი აირი გამოიყოფა. ეს აირები ბერავენ და სხვადასხვა მიმართულებას აძლევენ თხელ, მონაცრისფერო-მოყვითალო აფსკს (რომელიც აგრეთვე რეაქციის შედეგად წარმოიქმნება). მოძრაობით, ფერითაც და ფორმითაც ისე ჰგავს ეს მოვლენა გველის გაზრდასა და კლაკვნას, რომ მას „ფარაონის გველები“ უწოდეს.

შენიშვნა: 1. ვერცხლისწყალიცა და მისი ნებისმიერი ნაერთიც მხოლოდ მინის ჭურჭელში ინახება. ვინაიდან მეტალებს ისინი რამდენიმე წუთში შლიან.

2. KCNS- ის მაგივრად თუ NH_4CNS -ს აიღებთ, Hg(CNS)-ის ნალექი ჯერ წარმოიქმნება, შემდეგ კი გაქრება, ვინაიდან ახალი, კომპლექსური, ხსნადი მარილი წარმოიქმნება. მიღებულ გამჭვირვალე ხსნარს თუ $HgCl_2$-ის ხსნარის რამდენიმე წვეთს დაუმატებთ, ნალექი ისევ წარმოიქმნება.

3. ვერცხლისწყალიცა და მისი ნაერთებიც მომწამვლელი ნივთიერებებია და მათთან მუშაობის დროს უსაფრთხოების წესების დაცვაა საჭირო. ანუ, მუშაობის დამთავრებისთანავე ხელები საპნით გულდასმით უნდა დაიბანოთ.

რადგან როდანიდი ვახსენეთ, ახლა კიდევ ერთი ცდის შესახებ მოგიყვებით, რომელშიც ისევ კალიუმის როდანიდის KCNS-ს გამოვიყენებთ.

„ნადირობა“

სახატავი რვეულის ფურცლებზე დახატეთ (მხოლოდ კონტური) კურდღელი ან ნებისმიერი სანადირო ობიექტი. პიპეტით კონტურის შიგნით, კურდღელი დაასველეთ კალიუმის ან ამონიუმის როდანიდის 1%-იანი ხსნარით. ნახატი გააშრეთ და დაამაგრეთ დაფაზე ან კედელზე.

აიღეთ საბავშვო პისტოლეტი, რომელიც წყალს ისვრის. ჩაასხით მასში რკინა (III)-ის ქლორიდის $FeCl_3$-ის ხსნარი მასური წილით 1% და შორიდან კურდღელს „ესროლეთ“ (მიასხით). კურდღელს „სისხლი“ დაედინება. ამ რეაქციას მასწავლებლები ვიყენებთ, როგორც თვისებით რეაქციას Fe^{3+} – იონზე:

$$FeCl_3+3KCNS=3KCl+Fe(CNS)_3$$

მარიამ სურგულაძე



ნარკომანი – დამნაშავე თუ ავადმყოფი?



თბილისის 22-ე საჯარო სკოლაში აღდგა ტრადიცია და მუშაობა დაიწყო დებატების კლუბმა. ეს სკოლა, წარსულში, ფსიქოლოგ დიმიტრი უზნაძის სახელს ატარებდა და დღემდე ამ კუთხით ცდილობს წარმართოს სწავლების ნოვატორული პროცესები. კერძოდ, ჩაუნერგოს და გაუღრმაოს მოსწავლეებს პედაგოგებისა და თანატოლების მიმართ ნდობა და ამით ხელი შეუწყოს სწავლებისათვის აუცილებელი ფსიქიკური პროცესების განვითარებას: აზროვნებას, წარმოსახვას, შემოქმედებით უნარებს, თვითცნობიერებას, თვითშეფასებას, კომუნიკაბელური უნარების ჩამოყალიბებას.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, დებატების კლუბის თემად, სკოლის ფსიქოლოგებმა, **ნინო ოქროსაშვილმა** და **თამარ ქანაშვილმა** შევარჩიეთ ნარკომანია. მოსწავლეებს შევთავაზეთ რამდენიმე თეზისი დასამტკიცებლად და უარსაყოფად:

1. ნარკომანი – დამნაშავე, თუ ავადმყოფი?
2. საზოგადოების დამოკიდებულება ნარკომანებისადმი.
3. გამოსავალი.

სადებატო ფორმატი იყო შემდეგი:

სკოლის დირექციამ მოიპოვა ფილმი, რომელზეც აღბეჭდილი იყო წამალდამოკიდებული ადამიანების ინტერვიუები და მათი ცხოვრების ტრაგედია; ასევე პატრიარქის მოწოდება ნარკომანებისა და საზოგადოების მიმართ, სადაც იგი აღნიშნავდა, რომ საზღვარგარეთ სასწავლებლებში არსებობს მიმდინარეობა, რომელსაც „ცხოვრების ხელოვნება“ ჰქვია, რაც ჯანსაღი ცხოვრების წესებს ასწავლის მოზარდებს. ამავე ფილმში მონაწილეობენ კვალიფიციური ექიმები, რომლებიც მოზარდებისთვის გასაგებ ენაზე ხსნიან ნარკომანიის საკვალო შედეგებს. ვიდეოს თან ერთვოდა ჩანახატები, რომელიც ყველასთვის ერთი სცენარით ვითარდება.

ფილმის ჩვენების შემდეგ წინასწარ შერჩეულმა ორმა ჯგუფმა დაიწყო მსჯელობა. მოსწავლეებმა დაიხმარეს ინტერნეტით მოპოვებული მასალა ნარკომანიასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემებით, რამაც ნათელი მოჰფინა ნარკომანიის პრევენციის აუცილებლობას სკოლის ასაკიდანვე. ასევე, საკუთარი შემოქმედება – სტენდები და ფოტოკოლაჟი სახელწოდებით „ჩვენ ვირჩევთ ჯანსაღი ცხოვრების წესს“. ბავშვების მიერ შექმნილი იყო ვიდეოკლიპი, რომელიც ასახავდა წამალდამოკიდებული ადამიანების საშინელ რეალობას.

დისკუსია დიდი ვნებათაღელვის ფონზე წარიმართა. მოსწავლეების ნაწილი ამტკიცებდა, რომ ნარკომანი ავადმყოფი, სუსტი ნებისყოფის ადამიანია.

გიორგი: 14 წლის ბავშვებიც კი იკეთებენ. მე ვიცნობ 17 წლის ბიჭს, რომელმაც სამჯერ დაანება თავი და მერე ისევ დაიწყო.

თამუნა: ცნობილი ადამიანის შვილები არიან ნარკომანები. ამით მშობლების ყურადღების მიქცევას ცდილობენ.

სოფო: სპორტსმენების შვილები არიან ხოლმე ნარკომანები. მამების ყურადღება აკლდებათ, ითრგუნებიან და ამგვარად მშობლებს აფხიზლებენ.

დისკუსიაში, გზადაგზა, სკოლის ფსიქოლოგები ვერთვებოდით. შევეცადეთ, სხვადასხვა კუთხით წარმოგვეჩინა პრობლემა და განსხვავებული შეკითხვა წამოვჭერით: რა შევთავაზოთ ადამიანს, ნარკოტიკის გასინჯვა რომ არ მოუნდეს? ამ შეკითხვაზე პასუხად ბავშვებმა მოიშველიეს პატრიარქის სიტყვები, რომ ნარკომანია სირცხვილია, რომ მოისპო „კარგი ბიჭობის“ ინსტიტუტი, სადაც მოდაში იყო ნარკომანობა.

თაკო: თუკი მინიმალური შანსი არსებობს გამოსწორების, უნდა ყველაფერი გავაკეთოთ, რომ მოზარდებს წამალი შევაძულოთ. სულ ვიღაც უნდა იყოს გვერდით, რომ ელაპარაკოს.

ლექსო: მიზეზი ბევრი რამ შეიძლება გახდეს – უმუშევრობა, მძიმე სოციალური ფონი, სტრესი, ოჯახური პრობლემები, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ მოგვარებადია? აი, ამის ახსნაა საჭირო. წამალი გამოსავალი არ არის!

ბავშვები ამბობდნენ: ჩვენ ვეწინააღმდეგებით უკვე ნარკომანს და მასავადმყოფად მივიჩნევთ. ის დამნაშავეა, ვიდრე პირველად გაიკეთებს და ჩვენც უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რათა ახალგაზრდებში ნარკომანიისადმი ზიზღი ჩავნერგოთ და ასეთი სუსტი ადამიანები არ გავრიყოთ. ასევე, კანონის გამკაცრებაც ერთ-ერთ გამოსავლად ჩაითვალა.

ნარკომანებსაც უნდა ეშინოდეთ დასჯის, არ უნდა დადიოდნენ ქუჩაში თავისუფლად.

უნდა შევეცადოთ, ავუხსნათ გზააცდენილ ადამიანებს, რომ ჯოჯოხეთისკენ მიმავალ ბილიკს ადგანან, რომ ამ სენით ავადმყოფობს არა ერთი კონკრეტული პიროვნება, არამედ ოჯახის სხვა წევრებიც და, თუ ადამიანი მისულია წამლის მიღების გადაწყვეტილებამდე, მაშინ დიდი დრო უნდა დაეთმოს მასთან საუბარს, იმის ახსნას, რომ გამოსავალი რწმენაშია.

ასე რომ, ყველაფერი უნდა გაკეთდეს თითოეული ადამიანის მხრიდან, რათა ვინმეს არ გაუჩნდეს წამლის გასინჯვის სურვილი და ამ დიდი შენობის აგებაში ნებისმიერი პიროვნების მიერ დადებული ერთი კენჭიც კი უზარმაზარ ცათამბჯენს ააშენებს, რომლისკენ მიმავალი გზა ნამდვილად „მივა ტაძრამდე“!

ნინო ოქროსაშვილი,
თამარ ქანაშვილი
კონსულტანტი ფსიქოლოგები

მეთოდიკა

ბუნების გაკვეთილი. VI კლასი

გაკვეთილის თემა: ნაერთი, ნარევი. ნარევის შემადგენელ კომპონენტებად დაყოფა.

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ შეძლოს ნარევის და ნაერთის განსხვავება, იმსჯელოს ნარევის კომპონენტებად დაყოფის მეთოდების შესახებ, ნარევის შემადგენელი ნივთიერებების ფიზიკური თვისებების გათვალისწინებით, ჩაატაროს შესაბამისი ექსპერიმენტები.

გამოყენებული მასალა: შტატივი, მინის ძაბრი, მინის წკირი, ჭიქა, გრაფინი წყლით, ცეცხლგამძლე ჭურჭელი, ფილტრის ქაღალდი, სპირტქურა, მარილი, რკინის ფხვნილი, ხის ბურბუშელა, ქვიშა, ცარცის ფხვნილი, მაგნიტი, მინერალური წყლების ეტიკეტები, ცხრილი, თაბახის ფურცლები.

გაკვეთილის დრო: 45 წუთი.

გაკვეთილის მსვლელობა: მოსწავლეებს შევახსენებ, რომ სუფთა ნივთიერება მხოლოდ ერთი სახის მოლეკულებისგან შედგება, მაგალითად, სუფთა წყალში მხოლოდ წყლის მოლეკულებია, ამიტომ სუფთა წყალი ნაერთია; ბუნებაში სუფთა წყალი არ გვხვდება – მდინარის, წყაროს წყალში სხვადასხვა ნივთიერებებია გახსნილი, ამიტომ ასეთ წყალს ნარევს უწოდებენ. ამის კარგი მაგალითია მინერალური წყლები: „ბორჯომი“, „ლიკანი“, „საირმე“, „ნაბეღლავი“ და სხვ. სუფთა წყალს გემო არა აქვს, ხოლო მინერალური წყლები სპეციფიკური გემოთი გამოირჩევიან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ წყალში სხვა ნივთიერებებია გახსნილი, თანაც მინერალურ წყლებს განსხვავებული გემო აქვთ და მათი შედგენილობაც განსხვავებულია (2 წთ.).

საუბრის შემდგომ კლასს დავყოფ ჯგუფებად, დავურიგებ მინერალური წყლების ეტიკეტებს (თითოეულ ჯგუფს – 2 ცალს). ვთხოვ, შეადარონ წყლები შედგენილობის მიხედვით (4 წთ.).

პრეზენტაციები: 5 წთ.

პრეზენტაციების შემდეგ კლასს მივმართავ, რომ ნარევი შესაძლოა იყოს ერთგვაროვანი და არაერთგვაროვანი. მაგალითად, თუ წყალში შაქარს ჩავყრით და კარგად მოვურევთ, შაქარი სადღაც „გაქრება“ და მისი ნაწილაკების დანახვა შეუძლებელი იქნება. ნარევს, როდესაც სითხეში გახსნილია მცირე ზომის ნაწილაკები, რომლებიც თვალით არ ჩანს და დაყოვნებით ფსკერზე არ ილექება, ხსნარი ეწოდება, ხოლო ნარევს, რომელშიც შეგვიძლია შემადგენელი ნაწილაკების დანახვა – არაერთგვაროვანი ნარევი ეწოდება (2 წთ.).

შემდეგ დაფაზე ვკიდებ წინასწარ მომზადებულ სქემას.



მოსწავლეებს ვთხოვ, ყოფა-ცხოვრებიდან შესაბამისი მაგალითები გაიხსენონ (2 წთ.).

ვეუბნები, რომ შესაძლებელია ნარევის დაყოფა კომპონენტებად, რაშიც ნარევში შემავალი ნივთიერებების თვისებების ცოდნა დაგვეხმარება, მაგალითად: აგრეგატული მდგომარეობა, წყალში გახსნის უნარი, წყალზე მძიმეა თუ მსუბუქი, მაგნიტით მოზიდვის უნარი, სიმკვრივე და სხვ.

მოსწავლეებს ვუხსნი, რომ რამდენიმე ნარევის დაყოფა კომპონენტებად ჩვენც შეგვიძლია და ამისთვის რამდენიმე ცდას ვატარებთ.

ექსპერიმენტის ჩასატარებლად კლასს დავყოფ ჯგუფებად (მაგიდებზე, შესაბამისად, მომზადებულია ექსპერიმენტის ჩასატარებლად საჭირო ჭურჭელი და მასალა).

ცდა №1. *ხის ბურბუშელისა და რკინის ფხვნილის გაცალკევება.*

მოსწავლეებს ვთხოვ, ერთმანეთს შეურიონ ხის ბურბუშელა და რკინის ფხვნილი (ვიღებთ არაერთგვაროვან ნარევს). მოსწავლეებმა თვითონ უნდა შეარჩიონ აღნიშნული ნარევის გაცალკევების მეთოდი. მათ უნდა გამოიყენონ რკინის მაგნიტით მოზიდვის თვისება. რკინის ფხვნილს მაგნიტი მიიზიდავს, ხის ბურბუშელას – არა.

„მათემატიკური სალონი“

115-ე საშუალო სკოლის (დირექტორი – **ზვიად ქადარია**) ახალგაზრდა პედაგოგი **ლალი ჩიტაშვილი** მრავალი საინტერესო ინიციატივისა თუ ღონისძიების ავტორია. წლის დასაწყისში, მისი თაოსნობით, მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეთათვის შეიქმნა „მათემატიკური სალონი“, რომლის მუშაობის საჩვენებელი საღამო ჩატარდა სკოლაში.

მოსწავლეებმა საინტერესო სამყაროში გვამოგზაურეს. წამყვანებმა, XII3 კლასის მოსწავლეებმა, **სოფიო სხირტლაძემ** და **გიორგი სანაიამ**, კიდევ ერთხელ შეგვახსენეს, რომ მათემატიკა უძველესი მეცნიერებაა, ხოლო ფართო გზა თანამედროვე მათემატიკისაკენ მარტივი, სასკოლო ანბანური დებულებიდან იწყება. მათემატიკის სიმდიდრე განუზომელია, მაგრამ მისი არსის განსაზღვრა სულაც არ არის მარტივი. ამიტომაცაა, რომ სხვა საგნებთან შედარებით, ჩვენი თანატოლების უმეტესობას სწორედ ამ სირთულის გამო უჭირს მისი შესწავლა, ანდა იმდენად მიუწვდომლად მიაჩნია, რომ მასთან მიახლოვებისგან იკავებს თავს. მათემატიკა მსოფლიო კულტურის ფენომენია, იგი დღეს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტია, რომელსაც მთელ მსოფლიოში იყენებენ.

ბავშვებმა დასვეს შეკითხვა: „და მაინც, რა არის მათემატიკა?“, რაზეც სხვადასხვა მეცნიერთა გამონათქვამებით უპასუხეს: „მათემატიკა ოპტიმისტური ფილოსოფია და გონების მუსიკაა“ (ლობერგერი); „მათემატიკა – ყველა მეცნიერების დედოფალი“ (კარლ ფრიდრიხ გაუსი); „მათემატიკა კეთილი ფერიაა, მაგრამ მისგან შეგვიძლია მივიღოთ არა ჯადოსნური ჯოხი, არამედ სანდო და ზუსტი ინსტრუმენტი – მათემატიკური მეთოდები“ (პეტროვსკი).

ამის შემდეგ ოფიციალურად გაიხსნა საღამო მათემატიკური მარშით, რომლის სიტყვებიც მასწავლებელ ლალი ჩიტაშვილს ეკუთვნის.

VII4 კლასის მოსწავლეებმა – **ნინო ლორთქიფანიძემ, რუსუდან ანანიაშვილმა, ირაკლი ჩხაიძემ, ანა ჟღენტმა, ნია ვატიტაძემ, ჯუმბერ ბერიძიშვილმა, სალომე ჯანელიძემ** და **ანა გოგიჩაიშვილმა** წარმოგვიდგინეს ლამაზი ინსცენირება – მცირეოდენი ინფორმაცია მოგვაწოდეს ერატოსთენეს საცერის შესახებ.

X1 კლასის მოსწავლეებმა – **ნინო ღვალაძემ, ანა გელიაშვილმა, ნათია ვერულიძემ, გვანცა მეშველაშვილმა, ქეთი მექერივშილმა, თამარ ფილაურმა, ნინო აბულაშვილმა, მარი ელიბაშვილმა, თაკო ბიჩინაშვილმა** და **თამუნა გამყრელიძემ** წარმოადგინეს პრეზენტაცია სიმეტრიაზე.

დამსწრე საზოგადოება მოხიბლა სიმეტრიის ელემენტებზე აგებულმა ცეკვამ, რომელიც XII კლასის მოსწავლემ, **შორენა ჯაფარიძემ** დადგა.

XII3 კლასის მოსწავლეებმა – **სოფო სხირტლაძემ, ნინი ქადარიამ, თათა ოზმანოვმა, ეკა ქვრივიშვილმა, ლანა ნადაშვილმა, სალომე ბარდანაშვილმა, გიორგი სანაიამ, შოთა ორდენიძემ** და **შორენა ჯაფარიძემ** ამომწურავი ინფორმაცია მოგვაწოდეს ფრაქტალების შესახებ და აგვიხსნეს, რომ ფრაქტალები უსასრულო წიბოებისაგან შემდგარი გეომეტრიული ფიგურებია, პარალელურად, ეკრანზე კომპიუტერის საშუალებით, შუქდებოდა ფრაქტალები და მათი აგების პრინციპები.

საღამო დასრულდა ბავშვების მიერ შესრულებული ჰიმნით „მრავალჟამიერ მათემატიკა“, აფრიალდა მათი წარმოსახვით შექმნილი მათემატიკური დროშა.

სცენაზე უხვად იყო წარმოდგენილი თვალსაჩინოებები ფრაქტალებსა და სიმეტრიაზე.

ღონისძიებას ხიბლი შემატა მუსიკალურმა გაფორმებამ, რომლის შემოქმედიც პედაგოგი **ია გალდავაა.**

ეს დღე იქ დამსწრე საზოგადოებისათვის მრავალი ინფორმაციის მიმცემი იყო. რაც მთავარია, გზა დაელოცა ლამაზ ტრადიციას, რაც ახლად შექმნილი კლუბის „მათემატიკური სალონის“ საინტერესო მუშაობით გამოიხატება.

სკოლის პედაგოგებმა, მშობლებმა და მოსწავლეებმა დიდი მადლობა გადაუხადეს პედაგოგ ლალი ჩიტაშვილს, რომელმაც კიდევ ერთი საინტერესო დღე აჩუქა სკოლას.

ლია კბილაშვილი
დირექტორის მოადგილე
სასწავლო დარგში

მეთოდიკა

ვაკეთებთ დასკვნას: ნარევი არაერთგვაროვანია, რადგან მასში შემავალი ნაწილაკების გარჩევა შეგვიძლია. რკინას აქვს თვისება მიეზიდოს მაგნიტს (2 წთ.).

ცდა №2. *წყალში გახსნილი ცარცის ფხვნილის გამოცალკევება.*

მოსწავლეები წინასწარ მომზადებულ ცარცის ფხვნილს ჩაყრიან წყალში, მოურევენ მინის წკირით, წყალი შეიმღვრევა.

ბავშვები დააკვირდებიან ნარევს და დაადგენენ, ერთგვაროვანია თუ არა (დაკვირვების შედეგად ასკვნიან, რომ ცარცის ფხვნილი წყალში კარგად არ იხსნება და მისი ნაწილაკების გარჩევა შესაძლებელია, ხოლო დაყოვნების შემდეგ ნაწილაკები ფსკერზე ილექება – ანუ ნარევი არაერთგვაროვანია).

შემდეგ ვიწყებთ ნარევის კომპონენტებად დაყოფას. ამისთვის შტატივზე ვამაგრებთ შუშის ძაბრს, ძაბრში ვდებთ ფილტრის ქაღალდს, ხოლო ძაბრის ქვეშ ვდგამთ შუშის ჭიქას. ძაბრში ფრთხილად ვასხამთ ცარციან წყალს. ცოტა ხანში ჭიქაში სუფთა წყალი მოგროვდება, ხოლო ფილტრის ქაღალდზე ცარცის ფხვნილი დარჩება.

მოსწავლეებს ვეტყვი, რომ აღნიშნულ მეთოდს გაფილტვრა ეწოდება და ეს მეთოდი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სითხეში მსხვილი ნაწილაკებია გახსნილი, რომლებიც ფილტრის ქაღალდში ვერ აღწევს.

ცდა №3. *ქვიშისა და ხის ბურბუშელას გაცალკევება.*

მოსწავლეებს ვთხოვ, ერთმანეთს შეურიონ ხის ბურბუშელა და ქვიშა (ვიღებთ არაერთგვაროვან ნარევს). შემდეგ ვთხოვ, გამოთქვან მოსაზრება, თუ როგორ შევძლებთ აღნიშნული ნარევის გაცალკევებას. იმართება დისკუსია (2 წთ.) (სავარაუდოდ, მოსწავლეები მიაგნებენ სწორ მეთოდს, თუ ეს ვერ მოხდება, შესაბამისად, მასწავლებელი აძლევს ინსტრუქციებს).

ქვიშის და ხის ბურბუშელას ნარევის გასაცალკევებლად მოსწავლეებმა ნარევი წყლით სავსე ჭიქაში უნდა ჩაყარონ. ქვიშა მძიმეა და ფსკერზე დაილექება, ხოლო ხის ბურბუშელა წყალზე მსუბუქია და ზედაპირზე ამოტივტივდება (2 წთ.).

ცდა №4. *წყალში გახსნილი მარილის გამოცალკევება* (აღნიშნული ცდა, სასურველია, მასწავლებელმა ჩაატაროს სადემონსტრაციოდ მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით, რადგანაც სპირტქურის გამოყენებაა საჭირო).

ვიღებთ მარილს და ვყრით წყალში, ვურევთ. ვაკვირდებით ნარევს და ვადგენთ, რომ ნარევი ერთგვაროვანია, რადგანაც მარილის ნაწილაკების დანახვა შეუძლებელია.

შემდეგ მოსწავლეებს ვთავაზობ, გამოთქვან მოსაზრება, თუ როგორ შეგვიძლია მარილის გამოცალკევება. იმართება დისკუსია (2 წთ.).

(თუ მოსწავლეები ვერ მივლენ შესაბამის დასკვნამდე, ვთავაზობ გაიხსენონ, თუ როგორ მოდის წვიმა, როგორ წარმოიქმნება ღრუბელი, წვიმის წყალი რატომ არის მტკნარი, თუ წყლის დიდი ნაწილი ზღვებიდან და ოკეანეებიდან ორთქლდება, სადაც მარილიანი წყალია).

საბოლოოდ ვასკვნით, რომ მარილის გამოყოფა წყლიდან წყლის აორთქლებით შეგვიძლია. სადემონსტრაციოდ მარილის წყალხსნარს ვათავსებთ ცეცხლგამძლე ჭურჭელში, ვამაგრებთ შტატივზე და ქვემოდან ვანთებთ სპირტქურას. ხსნარი გაცხელდება, ადუღდება და ნელ-ნელა აორთქლდება, ხოლო ჭურჭლის ფსკერზე მარილის კრისტალები დარჩება (7 წთ.).

ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ, შეჯამების მიზნით, მოსწავლეებს ვთხოვ უპასუხონ შემდეგ კითხვებს:

1. რა არის ნაერთი?
2. რა არის ნარევი?
3. როგორია ერთგვაროვანი ნარევი?
4. როგორია არაერთგვაროვანი ნარევი?
5. რა მეთოდები გამოიყენება ნარევის კომპონენტებად დასაყოფად? (3 წთ.)

შემდეგ მოსწავლეებმა ჯგუფებში უნდა შეავსონ შემდეგი ცხრილი:

ნარევი	ნარევის ტიპი	გაცალკევების მეთოდი	გამოყენებული თვისება
ხის ბურბუშელა და რკინის ფხვნილი			
ხის ბურბუშელა და ქვიშა			
ცარცის ფხვნილი და წყალი			
მარილი და წყალი			

(3 წთ.)

ცხრილის შევსების სისწორეს ფრონატლური კითხვების საშუალებით ვამოწმებ. (3 წთ.) გაკვეთილის დასასრულს მოსწავლეებს მივცემ შესაბამის საშინაო დავალებას.

ნატა ბიჭიკაშვილი
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
გაეროს ასოციაციის საერთაშორისო სკოლა

სამხატვრო წრის პირველი ნაბიჯები

31 მარტს, თბილისის №19 საჯარო სკოლაში, ამავე სკოლის ბაზაზე არსებული მხატვრული წრის მოსწავლეების ნამუშევართა გამოფენა მოეწყო. თავისუფალ თემებზე შექმნილი ნამუშევრები მოსწავლეებმა, პედაგოგებმა და მოწვეულმა სტუმრებმა დაათვალიერეს. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ფერწერული ტილოები, გობელენი, აკვარელი, გრაფიკული ნამუშევრები.

მანანა ჩარგეიშვილი, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი: *რამდენიმე თვეა, სკოლის ბაზაზე აქტიურად ფუნქციონირებს სამხატვრო წრე, რომელსაც მხატვარი, ქალბატონი* ***ნინო გაჩავა*** *ხელმძღვანელობს. სწორედ მისი ინიციატივით სკოლის ნულოვან სართულზე მოეწყო სამხატვრო კაბინეტი. შეძლებისდაგვარად, ჩატარდა სარემონტო სამუშაოები და შეიქმნა მოსწავლეთათვის ხელსაყრელი სამუშაო გარემო. სამომავლოდ სურვილი გვაქვს, ჩამოვაყალიბოთ სამხატვრო სტუდია, ამისთვის, სერიოზული სარემონტო სამუშაოებია ჩასატარებელი. მომავალ სასწავლო წელს ვაპირებთ სკოლაში არჩევით საგნად სახელობო სწავლებაში ხატვის გაკვეთილები შემოვიტანოთ. იმედია, სამხატვრო სტუდიის ბაზის სრულყოფისათვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გარკვეულ მხარდაჭერას გაგვიწევს.*

დღევანდელი გამოფენა ნათელი მაგალითია იმისა, თუ რაოდენ დიდი ინტერესით ეუფლებიან ჩვენი მოსწავლეები ხატვას. იმედია, მათ სკოლის სხვა მოსწავლეებიც მიბაძავენ.

ლუკა მაისურაძე, II კლასის მოსწავლე: *დღევანდელ გამოფენაზე ფერად-ფერადი ფანქრებითა და გუაშებით შესრულებული ნამუშევრები წარმოვადგინე. ძალიან მიხარია, რომ ჩვენს სკოლაში სამხატვრო წრე ფუნქციონირებს. ხატვა ძალიან მიყვარს, ამიტომ დიდი მონდომებითა და გულისყურით ვეკიდები ყოველ ახალ გაკვეთილს.*

ბექა ფიცხელაური, IV კლასის მოსწავლე: *ხატვა ძალიან მიყვარს, ხატვის წრეზე ორი თვეა დავდივარ და ძალიან კმაყოფილი ვარ. მიხარია, რომ გამოფენაზე ჩემი ნამუშევრებიც არის წარმოდგენილი. მინდა მხატვარი გამოვიდე.*

სოფო დანელია , IV კლასის მოსწავლე: *ექვსი თვის წინ, როცა ხატვის წრეზე მოვედი არც ისე კარგად ვხატავდი, თუმცა ამ ხნის განმავლობაში იმდენი რამ ვისწავლე, რომ ჩემი ნახატები გაცილებით უფრო ლამაზია. დღევანდელი გამოფენისთვის ბალერინები დავხატე. მიხარია, რომ ჩემს ნახატებს ჩემი მეგობრები და ახლობლები დაათვალიერებენ და შეაფასებენ.*

მარიამ დანელია, V კლასის მოსწავლე: *ბელურები გამოფენისთვის სპეციალურად დავხატე, საერთოდ ძალიან მიყვარს ფრინველებისა და*

ცხოველების ხატვა. მიხარია, რომ სკოლაში სამხატვრო წრე მუშაობს, სადაც კვირაში სამჯერ დიდი სიხარულით დავდივარ. ნინო მასწავლებელი მხატვრობისა და მხატვრების შესახებ ძალიან ბევრ საინტერესო ამბავს გვიყვება და ოსტატურად გვასწავლის მხატვრის მეთოდებს.

ლიკა დილარიანი, IV კლასის მოსწავლე: *ფანქრით ხატვა მიყვარს, ძირითადად პეიზაჟებს ვხატავ. გამოფენაზე ზამთრის პეიზაჟი წარმოვადგინე, რომელიც ჩემი ნახატებიდან განსაკუთრებით მომწონს. ხატვის წრეზე სიარულმა ბევრი რამ მასწავლა, მალე გობელენის შესწავლას დავიწყებ, რაც ძალიან მახარებს.*

ნინო გაჩავა, სამხატვრო წრის ხელმძღვანელი: *თიანეთის საჯარო სკოლასთან პარტნიორული ურთიერთობა გვაკავშირებს. რამდენიმე დღის წინ სამხატავრო წრის ორი მოსწავლე თიანეთის საჯარო სკოლაში წავიყვანე, სადაც თექაზე მუშაობას გაეცვნენ. მომავალში ასეთი პარტნიორული ურთიერთობები სხვა სკოლებთანაც გვაქვს დაგეგმილი. დღევანდელ გამოფენაში სამხატვრო წრის ყველა ბავშვის ნამუშევარი გამოვფინეთ. თითოეული მათგანი ხატვის მიმართ განსაკუთრებულ მონდომებასა და ინტერესს იჩენს. ძალიან დაინტერესათ გობელენზე და თექაზე მუშაობამ, მალე თიხით ძერწვასაც დავიწყებთ და ვფიქრობ, ესეც კარგად გამოუვათ. წინ საინტერესო გეგმები გვაქვს, სამხატვრო სტუდიის ჩამოყალიბება ბევრ ნიჭიერ მოსწავლეს აღმოგვაჩენინებს, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო საინტერესო და ფართომასშტაბიანი გამოფენები მოვაწყოთ.*

მაკა ყიფშიანი

სპორტი

16-იანებში „მართვეები“ ყოჩაღობენ

კალათბურთელთა საქართველოს ასაკობრივი პირველობები ნელ-ნელა დასასრულს უახლოვდება და ზოგან ფლეი ოფში გამსვლელი გუნდების ნაწილიც გამოვლინდა.

16-წლიანთა ჩემპიონატში ფლეი ოფის მონაწილე ორი გუნდი გამოვლინდა – „მართვე-4“ და „მართვე-3“. „მართვე-4“ უკვე დაამთავრა ასპარეზობა და ეს უფლება ბოლო მატჩში „ქუთაისის“ დამარცხებით მოიპოვა – 68:65. იმერლებმა თავიდან მედგრად შეუტიეს მასპინძლებს და პირველი პერიოდი 16:7 მოიგეს. დაბნეული თბილისელები თანდათან გამოფხიზლდნენ, რაშიც დიდი როლი ამ თამაშის გმირმა, 1993-წლამდელთა ნაკრების წევრმა, **ლევან ლოლიშვილმა** შეასრულა. ის ახლო თუ შორი დისტანციიდან ერთნაირად ზუსტად ისროდა, რის ხარჯზეც მისი გუნდი თანდათან დაუხლოვდა წინ გაჭრილ სტუმრებს, რომლებმაც ტაიმი 32:26 მოიგეს. დიდი შესვენების შემდეგ ლოლიშვილს **ალეკო ჩოჩიამაც** აუბა მხარი და მესამე პერიოდი თბილისელებმა სოლიდური უპირატესობით – 27:11 მოიგეს და საერთო ანგარიშშიც დაწინაურდნენ – 53:43. თითქოს ეს მომენტი გარდამტეხიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ სტუმრები ასე იოლად დანებებას არ აპირებდნენ, თამაშის მიწურულს მასპინძლებს შტურმიც შესთავაზეს და, დამთავრებამდე 14 წამით ადრე, **ლევან გრძელიძის** და **დავით იაშვილის** კარგი თამაშით ანგარიშიც გაათანაბრეს – 65:65. ამ კრიტიკულ მომენტში თბილისელთა თავკაცმა, **ზვიად დიდბარიძემ** წუთშესვენება ითხოვა, თუმცა არც თამაში გაჩერებულა და არც წამზომი ჩართულა. არბიტრმა თამაში ოდნავ მოგვიანებით გააჩერა, რამაც ქუთაისელთა მწვრთნელი **მალხაზ კოხრეიძე** აღაშფოთა და გადმოვარდნილ ბურთს ფეხი ამოჰკრა, რისთვისაც ტექნიკური ჯარიმით დაისაჯა, თამაშის განახლების უფლებაც „მართვეელებმა“ მიიღეს. არსებითად, თამაშიც აქ დამთავრდა, რადგან თბილისელებმა შანსი უპრობლემოდ გამოიყენეს და შეხვედრაც მოიგეს. აღსანიშნავია, რომ ამ თამაშში ლოლიშვილმა 31 ქულა დააგროვა, რასაც 12 მოხსნაც დაურთო. საყურადღებოა ჩოჩიას 22 ქულაც.

ფლეი ოფში თამაში გაინაღდა **ხათუნა გაბედავას** „მართვე-3“-მა, რომელმაც ლიდერისა და მწვრთნელის გარეშე დარჩენილი „მართვე-1“ გამოიჭირა – ავადმყოფობის გამო დარბაზში ვერც ერთი ვერ მივიდა. გაბედავას დამოძღვრილმა „მართვეელებმა“ უთავოდ დარჩენილ მეტოქეს 81:63 მოუგეს. მათ აქტივში ერთი თამაში კიდევ რჩებათ – ჯერაც მოუგებელ აფხაზეთის ნაკრებთან და რეგულარულის მოგების ჩინებულ შანსსაც ინარჩუნებენ.

ფლეი ოფის დარჩენილ ორ საგზურზე სამი პრეტენდენტია – 51-ე სკოლა, „მართვე-1“ და „ქუთაისი“. ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში იმერლები იმყოფებიან, რადგან ორივე კონკურენტს შინ იღებენ. ამასთან, თბილისელებმა ერთმანეთშიც უნდა ითამაშონ და ძნელი მისახვედრი არაა, ამათში დამარცხებული ფლეი ოფს რომ დაემშვიდობება.

18-წლიანთა ჩემპიონატშიც ფლეი ოფის ორი მონაწილე გაირკვა – „აკადემია“ და „დინამო“. ამათგან აკადემიელებმა უკვე დაასრულეს რეგულარული, „დინამომ“ კი ეს უფლება ბოლო ტურში უშუალო კონკურენტის – I ექსპერიმენტული სკოლის გუნდის დამარცხებით მოიპოვა – 91:85. აღსანიშნავია, რომ მოგებულები თავიდან აქაც აგებდნენ, მაგრამ **გივი ბაქრაძის** კარგი თამაშით (26 ქ) გაიმარჯვეს. დინამოელებს მარაგში ორი თამაში დარჩათ და ამდენად, რეგულარულის მოგებაც შეუძლიათ, ფლეი ოფის დარჩენილ ორ საგზურზე კი პრეტენზიას „რუსთავი“, „ენერჯი“ და I ექსპერიმენტული სკოლა აცხადებენ. დაგვეთანხმებით, აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ექსპერიმენტული სკოლისა და რუსთაველთა შეხვედრა იქნება. რუსთაველებმა წინა ტურში „მართვე-1“-ს პრინციპული მატჩი მოუგეს – 81:72, რაც, ძირითადად, **აკაკი დვალიშვილის** ჩინებული თამაშის შედეგია – 45 ქულა და 24 მოხსნა.

20-წლიანთა პირველობაც რუსთაველთა დომინაციით მიმდინარეობს – ფლეი ოფის საგზური კარგა ხნის წინ გაინაღდეს. არსებითად, გარკვეულია იმ გუნდების ვინაობაც, რომ-

ლებიც მედლებისთვის ბრძოლას გააგრძელებენ – „აკადემიამ“, „მაკაბი“, „მართვემ“ და „სამედიცინომ“ 18-18 ქულა დაგროვეს, ოღონდ ეგაა – ამ ოთხეულში ერთი ზედმეტია. რაც შეეხება „ქუთაისს“, ის დიდი ხნის წინ გამოეთხოვა შემდეგ ეტაპზე ოცნებას.

აღნიშნულ კვარტეტში ყველაზე კარგ მდგომარეობაში „აკადემიაა“, რომელსაც მარაგში ყველაზე მეტი შეხვედრა დარჩა.

ირაკლი თავაძე

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტები:
საქართველოს ბანკი
ბ/კ 220101502,
ს/კ 202058735,
ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.